

კავკასიის საეთაშორისო უნივერსიტეტი

თამარ ბარაბაძე

მართლზომიერი მფლობელის უფლებების შედარებითი სამართლებრივი
ანალიზი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სამართლის

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გია ლილუაშვილი

თბილისი

2020

ანოტაცია

ნაშრომი წარმოაჩენს სანივთო სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ ინსტიტუტს, როგორცაა მფლობელობა. მფლობელობის ინსტიტუტი, ისევე როგორც მთელი სანივთო სამართალი, თანამედროვე ქართულ სამართალში ძირითადად გერმანული სამართლის გავლენას განიცდის. სწორედ აქედან გამომდინარე ნაშრომის მიზანია განვიხილოთ მართლზომიერი მფლობელის არსი და მისი უფლებები, ასევე აღნიშნული საკითხის დაცვის საშუალებები და ამავდროულად მოვახდენთ მის შედარებითი სამართლებრივი ანალიზი გერმანულ კანონმდებლობასთან მიმართებაში.

თანამედროვე ქართულ სანივთო სამართალში მფლობელობის ინსტიტუტი, საკუთრების უფლებასთან მიმართებაში არ კარგავს აქტუალობას.

ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან, ნაშრომის პირველ თავში მფლობელობის არსი, განვიხილავთ მფლობელობის იურიდიულ ბუნებას, მფლობელობის სახეებს და მათ ადგილს სამოქალაქო სამართლის სისტემაში, მფლობელობის და საკუთრების უფლებების ურთიერთკავშირს. ნაშრომის მეორე თავში განვიხილავთ მფლობელობის ისტორიულ წინამძღვრებს, მოვახდენთ შედარებით სამართლებრივ ანალიზს რომის სამართალთან, ევროპის კონტინენტურ სამართლის ფარგლებში და ასევე განვიხილავთ მფლობელობის ინსტიტუტს ძველ ქართულ სამართალში და საბჭოთა სისტემაში. ნაშრომის მესამე თავი დათმობილი აქვს მფლობელობის ინსტიტუტის განვითარებას და მისი დაცვითი თ მექანიზმებს გერმანულ სამართლის სივრცეში, ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია მფლობელობის დაცვის სამართლებრივი საფუძვლები.

მფლობელობათან მიმართებაში ყველა ქვეყანის სამართალს სხვადასხვა შეხედულებები და მიდგომები აქვთ. ნაშრომში შედარებულია ქართული და გერმანული კანონმდებლობები, ასევე კონტინენტალური სივრცის მიდგომებთან მართლზომიერ მფლობელობასთან მიმართებაში. ასევე განვიხილავთ ამ საკითხთან დაკავშირებულ ხარვეზებს და შესაბამისად ვიმსჯელებთ მათი გადაჭრის საშუალებებზე. დასკვნაში ჩამოყალიბებულია ნაშრომის ღირებულება, შეჯამებულია

მართლზომიერ მფლობელობასთან დაკავშირებული ყველა ის საკითხი, რომელიც ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ნაშრომზე მუშაობისას. ნაშრომში კიდევ ერთხელ არის ხაზი გასმული ნაშრომის მიზანზე, მართლზომიერი მფლობელის უფლებების შედარებითი სამართლებრივი ანალიზზე. ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

Annotation

The paper is one of the central institutions of commodity law, such as ownership. The institution of ownership, like all property law, is largely influenced by modern German law in modern Georgian law. That is why the aim of the paper is to consider the rights of the rightful owner and to make a comparative legal analysis of it in relation to German law.

In modern Georgian commodity law, the institution of ownership, in relation to property rights, does not lose its relevance. The paper consists of three chapters, the essence of ownership in the first chapter of the paper, we discuss the legal nature of ownership, types and its place in the civil law system, the relationship between ownership and property rights. In the second chapter of the paper We discuss the historical precedents of ownership, discuss ownership in Roman law and ancient Georgian law, and discuss ownership within continental European law. In the third chapter, we will make a comparative legal analysis of the protection of property rights in Georgian and German law.

The law of all countries has different views on ownership. The paper compares Georgian and German legislation with respect to moderate ownership. We will also discuss the shortcomings related to this issue and therefore discuss ways to resolve them.

The report summarizes the cost of the paper, summarizes the issues related to legal ownership, and once again emphasizes the purpose of the paper. The list of used literature is attached to the paper.

სარჩევი

ანოტაცია	2
Annotation.....	4
ნახაზების ჩამონათვალი	6
შესავალი.....	7
თავი I მფლობელობის არსი.....	10
1.1 მფლობელობის იურიდიული ბუნება	10
1.2 მფლობელობის და საკუთრების უფლებათა ურთიერთკავშირი.....	12
1.3 მფლობელობის სახეები	14
1.4 საკუთრების პირველადი საშუალებებით წარმოშობილი მფლობელობა.....	23
თავი II შედარებითი სამართალი.....	25
2.1 მფლობელობა რომის სამართალში	25
2.2 მფლობელობა კონტინენტური ევროპის სამართლის ფარგლებში	27
2.3 მფლობელობის ძველ ქართულ სამართალში	30
2.4 მფლობელობა საბჭოთა სამართალში	33
თავი III მფლობელობის არსი და დაცვა გერმანულ სამართალში	37
3.1 მფლობელობა გერმანულ სამართალში	37
3.2 მფლობელობის დაცვა გერმანულ სამართალში	42
თავი IV მფლობელობის დაცვის სამართლებრივი საშუალებები.....	44
4.1 მფლობელობის დაცვა.....	44
4.2 მფლობელობის დაცვა ქართულ სამართალში.....	47
4.3 სავინდიკაციო, დელიქტური და კონდიქციური სარჩელი	51
დასკვნა	57
გამოყენებული ლიტერატურა	60

ნახაზების ჩამონათვალი

1. ნახ.#1 მფლობელობის სახეები.....15
2. ნახ.#2 საერთო მფლობელობა.....21
3. ნახ. #3 მართლზომიერი მფლობელის დაცვის საშუალებები50

შესავალი

თემის აქტუალობა მფლობელობა, მისი არსი და დეფინიციური ზღვარი სხვა ცნებებთან შედარებით ქართულ სამართალში ყოველთვის ერთ-ერთი პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. მფლობელობის ინსტიტუტი, ისევე როგორც მთელი სანივთო სამართალი, თანამედროვე ქართულ სამართალში ძირითადად გერმანული სამართლის გავლენას განიცდის. თემას უფრო აქტუალურს ქმნის მართლზომიერი მფლობელობის უფლების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი გერმანულ კანონმდებლობასთან.

ქართული კანონმდებლობაში მფლობელობა განსაზღვრულია, როგორც ნივთზე სუბიექტის ფაქტობრივი ბატონობა. ქართული სამართალი იცნობს, როგორც მფლობელობის ცნებას, ასევე მის სახეებად დაყოფას. მფლობელობის სახეებად დაყოფას გააჩნია ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, მათი უფლება-მოვალეობანი განსაზღვრება სწორედ იმის მიხედვით, თუ რა სახის მფლობელები არიან.

მფლობელობის ელემენტები პირის ნივთთან დამოკიდებულების ორგვარ წესრიგს განსაზღვრავს: ფაქტობრივ წესრიგს და იურიდიულ წესრიგს. ნივთზე იურიდიული ბატონობა საკუთრებაა, ხოლო ნივთზე ფაქტობრივი თვისების მქონე ძალაუფლება, ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლისგან დამოუკიდებლად არსებული, მფლობელობაა.

ნივთზე სამართლებრივ ბატონობას უპირისპირდება მფლობელობა. მფლობელობა წარმოადგენს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ნივთები განუყოფელ კავშირში არიან მფლობელის პიროვნებასთან და დამორჩილებულები არიან მის ნებას, ანუ მისი ბატონობის ქვეშ არიან მოქცეულნი.

გერმანული კანონმდებლობით, კი მფლობელობა გულისხმობს ნივთის ფაქტობრივი ნებელობით დაუფლებას, მასზე ფაქტობრივ ბატონობას. მფლობელობის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეებია: პირდაპირი და არა პირდაპირი მფლობელობაა.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა მფლობელობის იურიდიული შედეგი. თუ მფლობელობა კანონით დადგენილი დროის მანძილზე გრძელდება და

აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, მფლობელი ხდება მესაკუთრე. გამომდინარე აქედან მფლობელობის ფაქტი ვადასთან ერთად წარმოშობს უფლებას.

იურიდიულ ლიტერატურაში მფლობელობის გამოსახატავად გვიანფეოდალური ხანიდან გვხვდება ტერმინები „ჭერა“, „პყრობა“, რომელიც ნივთზე ფაქტობრივ ძალაუფლებას გამოხატავს.

საბჭოთა პერიოდში მფლობელობა მოიაზრებოდა მხოლოდ როგორც საკუთრების შინაარსის ერთ-ერთი ელემენტი, ახალმა სამოქალაქო კოდექსმა იგი ცალკე ინსტიტუტად გამოყო და დაამკვიდრა საკუთრების პრეზუმფცია.

ნაშრომის მიზანი მთავარ მიზანს წარმოადგენს განვიხილოთ მართლზომიერი მფლობელის უფლებები და მოვახდინოთ შედარებითი სამართლებრივი ანალიზი გერმანულ კანონმდებლობასთან.

მფლობელობის სამართლებრივი შედეგები ყოველთვის დამოკიდებულია მფლობელობის ობიექტზე, მფლობელობის ხარისხზე და ხანგრძლივობაზე, ასევე თავად მფლობელის დამოკიდებულებაზე მფლობელობის ფაქტის მიმართ. საინტერესოა, რატომ იწვევს ერთი შეხედვით ფაქტობრივი ბატონობის მარტივი ფაქტი ასეთ სერიოზულ სამართლებრივ შედეგს, ან რა ფაქტი განაპირობებს მფლობელობის დაცვას, მფლობელობა ხომ თავისთავად არის დაცული. მისი სამართლებრივი საფუძვლის გამოკვლევისა და საკუთრების უფლებასთან მისი მიმართების დადგენის გარეშე. ამ და სხვა საკითხებს განვიხილავთ ნაშრომში.

მფლობელობის ცნება არსებითად ორი ცნების დამახასიათებელ ორ ძირითად ნიშნს მოიცავს: პირველი, ნივთის მიმართ იურიდიული ბატონობა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ ნივთის მიმართ ფიზიკურ შემხებამდე და მეორე, ეს ფაქტობრივი ბატონობა ნებით იყოს მოპოვებული.

მნიშვნელოვანია, რომ მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, სხვა პირის სასარგებლოდ, ამასთან ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს კონკრეტული პირისაგან. კანონმდებელი მფლობელად მიიჩნევს უფლებამოსილების მიმნიჭებელ პირს.

კვლევის მეთოდოლოგია კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს: საქართველოს სამოქალაქო სამართლის და გერმანული სამოქალაქო სამართლის

კანონმდებლობები. ასევე საქრთველოს სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ნაშრომში გამოყენებულია ისტორიული მეთოდი, რომლის საფუძველზეც დადგენილია ის სამართლებრივი ტენდენციები, რაც ახასიათებდა მფლობელობის ინსტიტუტის წარმოშობას და განვითარების ისტორიას, თუ როგორ გამოიყენებოდა აღნიშნული ცნება სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ნაშრომში ასევე გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, რომელიც მიზნად ისახავს, როგორც სხვადასხვა მეცნიერთა და პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებებს, ასევე კანონმდებლობის თავისებურების დადგენას. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში შექმნილია იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, ასევე პრაქტიკოსი სამართალმართალმცოდნეების კვლევებზე და მათ შეხედულებებზე.

თავი I მფლობელობის არსი

1.1 მფლობელობის იურიდიული ბუნება

ქართული სამართალში მფლობელობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს. ქართული სამართლის სივრცეში განიხილება, როგორც: მფლობელობა, ეს არის ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელება, მფლობელობის ცნებისათვის მნიშვნელოვანი არ არის, ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების უფლება აქვს თუ არა მფლობელს. მფლობელობა, ეს არის სამართლებრივი წესრიგის მიერ აღიარებული ფაქტობრივი ბატონობა ქონებაზე.¹ მფლობელობა პირის ფაქტობრივი ნებითი ბატონობაა ნივთზე,² რაც თავის თავში პირისადმი ნივთის ბუნებრივ დამორჩილებას გულისხმობს.³ ასევე შესაძლებელია, ქონებრივი უფლებების მფლობელობაც, ასეთ დროს ფაქტობრივი ბატონობა მფლობელობითი უფლებით სარგებლობაში ვლინდება.

მფლობელი არის ისეთი პირი, რომელიც ფაქტობრივად ბატონობს ნივთზე, ხშირ შემთხვევაში, ვინც ახორციელებს მფლობელობას, არის ამ ნივთის მესაკუთრე, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მფლობელი არ აღმოჩნდება მესაკუთრე. მაგალითად შესაძლოა ქურდი, რომელიც ნაქურდალ ნივთზე ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას, თუმცა სრულადაც არ არის ნივთის მესაკუთრე.⁴

პირი, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ არა თავის, არამედ სხვა პირის სასარგებლოდ არ ითვლება მფლობელად, თუკი ამ პირს ფლობის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს სხვა პირისგან, ხოლო უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი მფლობელად ითვლება.

საბოლოოდ მფლობელობის ცნება არსებითად ორ ნიშანზე დაიყვანება:

- ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობა. აქ იურიდიული ბატონობა ივარაუდება და არ შეიძლება იგი დაყვანილ იქნეს ნივთის მიმართ ფიზიკურ შემხებლობამდე.

¹ Bassenge, Palandt, BGB, 2008, p.854

² თოთლაძე ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., 2018, გვ. 31

³ ქოჩაშვილი ქ, მფლობელობა და საკუთრება, ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013, გვ. 17

⁴ ზარანდია თ, სანივთო სამართლის საფუძვლები, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2016 გვ. 36

- ფაქტობრივი ბატონობის ნებით მოპოვება. აქ კანონმდებელი გულისხმობს, რომ მთავარია მფლობელობა, იმის მიუხედავად, თუ რა უფლება დგას მის უკან, მოპოვებული იყოს მფლობელის ნების გამოვლენით, ანუ მას სურდეს, რომ იყოს მფლობელი. იქ, სადაც სუბიექტის ნება არ მონაწილეობს, არც მფლობელობაა.

მფლობელობა, მოქმედი სამართალიდან გამოცალკავებულია საკუთრების უფლების ცნებიდან და ქონების ცნების შემდეგ ხდება მისი განხილვაა. ეს განპირობებულია იმ მიზეზით, რომ მფლობელობა არის ისეთი ფაქტი, რომლის მიღმა ხშირად სხვა სანივთო უფლებები იმალება, მფლობელობა, მის მიღმა მდგარი უფლების გარეშე, რჩება, როგორც ნივთზე „შიშველი“ ბატონობის ფაქტი, ამასთან, მფლობელობის ვარაუდი გამოიყენება მხოლოდ მოძრავ ნივთებთან მიმართებით, ხოლო რაც შეეხება უძრავ ნივთებს, გამოვდივართ რა რეესტრის დანიშნულებიდან და მისი პრეზუმფციიდან, მესაკუთრეს ავლენს საჯარო რეესტრი, ამ განსხვავებას განაპირობებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე წარმოშობილი საკუთრების განსხვავებული რეჟიმი. თუკი მოძრავი ნივთის შესაძენად საკმარისია მხოლოდ ფაქტი ნივთის ერთი ადამიანის ხელიდან მეორე ადამიანის ხელში გადაცემისა, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, აქედან გამომდინარე, მოძრავი ნივთის შემძენს ნივთის შემძენისას სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ მესაკუთრის კეთილსინდისიერებას ენდოს. რომ არ არსებობდეს მფლობელისადმი ნდობა, იმ შემთხვევაში, თუკი შემძენს გაუჩნდება ეჭვი, არის ვარაუდი იმისა, რომ მან ვერც კი შეძლოს ნივთზე საკუთრების უფლების დამტკიცება იმის გამო, რომ არ არსებობდეს არანაირი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ნივთი ნამდვილი უფლების საფუძველზე არის გაცემული.⁵ აქედან გამომდინარე, მფლობელობის ინსტიტუტი საკმაოდ მერყევ ხასიათს ატარებს კერძო სამართალში, რადგანა რთულია, დანამდვილებით განსაზღვრო მფლობელის მართლზომიერება და კეთილსინდისიერება, რაც მოძრავი ნივთების ფლობის შემთხვევაში, მთელი თავისი ასპექტით იჩენს თავს და, ხშირ შემთხვევაში, საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნის სოციუმს.

⁵ ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, თბილისი, 2003; გვ. 15-17

1.2 მფლობელობის და საკუთრების უფლებათა ურთიერთკავშირი

ქართულ სასაუბრო ენაში „მფლობელი“ და „მესაკუთრე“ ხშირად გაიგივებულია ერთმანეთთან. ხშირად გაიგონებთ ფრაზებს: როგორ ავტომობილს ფლობთ? ასევე ის არაჩვეულებრივ სახლს ფლობს და ა.შ. ამის მიზეზი არის ალბათ ის, რომ მფლობელში ყოველთვის მესაკუთრის აჩრდილი იცქირება.⁶

მიუხედავად იმისა, რომ სასაუბრო ენა ხშირად აიგივებს მფლობელს მესაკუთრესთან, მის საპირისპიროდ სამართალი ძალიან მკაფიო განსხვავებას ადგენს ამ ორ კატეგორიას შორის. კანონმდებელი განმარტავს, რომ საკუთრება უფლებრივი კატეგორიაა, ხოლო მფლობელობა უფრო ფაქტობრივი, ვიდრე უფლებრივი.

მფლობელი არის პირი, ვინც ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას და შესაბამისად ივარაუდება მესაკუთრედ. ამასთან ერთად, ვინც მფლობელობას ახორციელებს, ხშირ შემთხვევაში მესაკუთრეა, მაგრამ არა ყოველთვის. მაგალითად: ქურდი, რომელიც ნაქურდალ ნივთზე ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას საკუთარი ნებით, ასევე მიიჩნევა მფლობელად.

მფლობელობა, როგორც ნივთზე ბატონობის ფაქტი შეიძლება სახეზე იყოს სანივთო-სამართლებრივი ან ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების დროს, მაგალითად ქირავნობის ურთიერთობა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობაა, მაგრამ მას გარკვეული სანივთო ეფექტი გააჩნია, რადგან დამქირავებელი, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტობრივად ფლობს ბინას, იმავდროულად არის მართლზომიერი მფლობელიც და სარგებლობს მფლობელობითი დაცვით. ამით, მისი ვალდებულებით-სამართლებრივი ქირავნობის უფლება სანივთო შეფერილობას იძენს.⁷

მფლობელობის იურიდიული შედეგი დამოკიდებულია თავად მფლობელობის ბუნებაზე, მის ხარისხსა და ხანგრძლივობაზე. მფლობელობა გულისხმობს მატერიალური ბატონობის განხორციელებას ნივთზე, რაც შესაძლოა

⁶ ზოიძე ბ, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 58 .

⁷ ლაკერბაია თ, სანივთო სამართლის გავლენა ვალდებულებით სასამართლოზე, თბ., 2012, გვ. 22

გამოიხატოს როგორც ნივთის გამოყენებაში, ასევე შესაძლებლობაში, მიიღო მისგან ეკონომიკური სარგებელი. ამავდროულად, მფლობელობა მეტია, ვიდრე უბრალო მატერიალური ჭერა.

მფლობელობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა მფლობელობის მტკიცებითი ფუნქცია. ისეთ დავაში, რომელშიც მფლობელი უპირისპირდება მას, ვინც მისი მფლობელობის უკან რაიმე უფლების არსებობას უარყოფს, იგებს მფლობელი, მხოლოდ თავისი მფლობელობის დამოწმებით, სხვა ელემენტის დამოწმების გარეშე თუ ვერცერთი მხარე ვერ ამტკიცებს თავის უფლებას, დავა წყდება კვლავ მფლობელის სასარგებლოდ.

უმრავლეს შემთხვევაში მფლობელობა, როგორც ნივთის ფლობის ფაქტი და საკუთრება, როგორც ნივთზე სრული ბატონობის უფლება ერთმანეთს ემთხვევა, ნივთის მესაკუთრე იმავდროულად მისი მფლობელიცაა. თუმცა ხდება ისეც, რომ ნივთი არ არის მესაკუთრის ხელში და შეიძლება მოხდეს ნივთის გასხვისება არამესაკუთრის მიერ. აცდენა მფლობელობასა და საკუთრების უფლებასა შორის, როგორც წესი, ხანგრძლივი არ არის.

როდესაც რაიმე ფაქტი გარკვეული დროის მანძილზე გრძელდება, იგი მიდრეკილია, რომ უფლებად გადაქცეს. აქ შესაძლოა მესაკუთრემ გამოითხოვოს ნივთი და ამით ნივთი მის მფლობელობაში დაბრუნდება, ან ნივთი დარჩება მფლობელთან და გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მფლობელობა გარდაიქმნება საკუთრებად, ანუ მოხდება ფაქტის გადაქცევა უფლებად.


საქ. სამოქალაქო კოდექსი უარყოფს საკუთრების ფორმებად დაყოფას და მის ერთიან ცნებას განამტკიცებს. მოქმედ სამოქალაქო სამართალში გაბატონდა პრინციპი: საკუთრება ერთიანია ყველა მესაკუთრისათვის, ყველა მესაკუთრე თანასწორია საკუთრების წინაშე, სამოქალაქო კოდექსით საფუძველი ჩაეყარა საკუთრების თავისუფლებას, რაც თავის მხრივ საფუძველს წარმოადგენს სახელშეკრულებლო თავისუფლებისათვის და ბოლოს საჯარო რეესტრი სანივთო სამართლის ფინალური ნაწილია. მისი მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი წარმოადგენს უფლება შემქმნელ ინსტიტუტს. გამომდინარე იქედან, რომ მთელი იურიდიული დოქტრინები დაკავშირებულია ვადებთან და იგი ხან ფაქტს აქცევს უფლებად, ხან წარმოშობს უფლებას და ხან აქარწყლებს მას. დრო აძლევს უფლებას ერთს და

ართმევს მას მეორეს.⁸ ხშირ შემთხვევაში სინამდვილეს აყალიბებს სწორედ ფაქტი და ეს სინამდვილე დროის წყალობით იურიდიულ სინამდვილედ იქცევა.

1.3 მფლობელობის სახეები

მფლობელების სახეებად დაყოფას გააჩნია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, მათი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება სწორედ იმის მიხედვით თუ რა სახის მფლობელები არიან.

ქართულ სამართალში მფლობელობის კლასიფიკაცია დაფუძნებულია ნივთზე ფაქტობრივი კავშირის შინაარსზე და მფლობელობის წარმოშობის სამართლებრივ საფუძვლებზე. კერძო სამართალში ვხვდებით მფლობელობის შემდეგ სახეებს:⁹



⁸ ზარანდია თ, სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბ., 2005, გვ.31

⁹ ჭეჭელაშვილი ზ, სანივთო სამართალი, თბ., 2006, 72-82

ნახ.#1 მფლობელობის სახეები

პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა, სამოქალაქო კოდექსით პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა ემსახურება მფლობელობის, როგორც საკუთრების უფლების ელემენტის არსებობას. მესაკუთრის მიერ ობიექტის გადაცემის შემთხვევაში მესაკუთრე ინარჩუნებს მას არაპირდაპირი მფლობელობის სახით. თუკი პირი ფლობს ნივთს სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, იგი ითვლება პირდაპირ მფლობელად.¹⁰

სამოქალაქო ბრუნვისთვის ჩვეულებრივ მოვლენაა, როდესაც მესაკუთრე, რომელიც პირადი სარგებლობის მიზნით იყენებს მის საკუთრებაში არსებულ ობიექტს, პირდაპირი მფლობელად განიხილება. პირდაპირი მფლობელობა, რომელიც გულისხმობს ნივთის სარგებლობის შესაძლებლობას, მაგ: ბინის დამქირავებელი არის პირდაპირი მფლობელი, იგი უფლებამოსილია ისარგებლოს ბინით. ხოლო, მესაკუთრე, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე (მაგ., ქირავნობის, იჯარის და ა.შ.) მხარეს გადასცემს უფლებას საკუთრების ობიექტზე, ინარჩუნებს არაპირდაპირ მფლობელობას.

ნივთზე უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი პირი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად.¹¹ არაპირდაპირი მფლობელი ყოველთვის არის მესაკუთრე, ან პირი, რომელსაც ხელშეკრულების ან კანონის საფუძველზე აქვს ნივთის გადაცემის ან განკარგვის შესაძლებლობა. მაგალითად როდესაც ბინა არის გაქირავებული, მისი დამქირავებელი იქნება ბინის პირდაპირი მფლობელი, ხოლო ბინის მესაკუთრე ამავდროულად იქნება ბინის არაპირდაპირი მფლობელი, რაც გულისხმობს ამ უკანასკნელის უნარს განკარგოს გაქირავებული ნივთი, არ დაუშვას მისი ნივთის უკანონოდ სარგებლობა და ა.შ, თუმცა ამავდროულად მას არ აქვს ბინით სარგებლობის უფლება, ანუ იგი არ არის პირდაპირი მფლობელი.

მფლობელობითი კონფლიქტის შემთხვევაში უპირატესობა გააჩნია პირდაპირ მფლობელობას, იგი დაცულია თვით არაპირდაპირი მფლობელისგანაც. მაგ:

¹⁰ საქ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 155.3

¹¹ საქ. სამოქალაქო კოდექსი, 155.3

მესაკუთრე არ არის უფლებამოსილი ბინის დამქირავებლის უფლებაში ჩაეროს, სანამ მას ასეთი უფლება გააჩნია.

მართლზომიერი მფლობელობა, ქართულ სანივთო სამართალში კანონმდებლის მიერ მფლობელობის მართლზომიერება განსაზღვრულია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს კეთილსინდისიერების საფუძველზე.

კანონმდებელი მართლზომიერად თვლის მფლობელობას, თუ ნივთზე პირის ფაქტობრივი ურთიერთობა წარმოშვა კანონის საფუძველზე, რაც ნიშნავს, რომ პირმა ფაქტობრივი მფლობელობა ნივთზე მოპოვა მესაკუთრისგან ან უფლებამოსილი პირისაგან. კანონმდებელი პირს მიჩნევს მართლზომიერ მფლობელად, თუ:

- თუ კანონის წესით არის არის წარმოშობილი ნივთზე მფლობელობა;
- მართლზომიერი მფლობელობა დგინდება საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე.¹²

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, მართლზომიერი მფლობელი ყოველთვის კეთილსინდისიერი მფლობელია, რადგან მართლზომიერ მფლობელად კანონმდებელი აღიარებს პირს, რომელიც სამართლებრივი საფუძველით ახორციელებს ნივთიზე ბატონობას. გამომდინარე აქედან, მართლზომიერი მფლობელობა მიუთითებს ობიექტურ ფაქტორებზე, რაც გამოვლენილია მფლობელობის სამართლებრივი საფუძველის არსებობაში, ხოლო კეთილსინდისიერება შეიცავს სუბიექტურ ელემენტს, ანუ პირის დამოკიდებულებას ფაქტობრივი გარემოებების მიმართებაში.

მართლზომიერი მფლობელია მესაკუთრე და ყველა ის პირები, რომელთა მფლობელობა მესაკუთრის მფლობელობიდანაა წარმოქმნილი.¹ ნივთის მართლზომიერი მფლობელობა გავრცელდება მანამდე. სანამ იარსებებს მართლზომიერების სამართლებრივი საფუძველი.

განმარტების მეორე ალტერნატივა გულისმობს მფლობელის კეთილსინდისიერების განისაზღვრას საქმიან ურთიერთობებში, შემოწმების საფუძველზე, კერძოდ, თუ რა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები უდევს ნივთზე მფლობელობას საფუძველად და მოეთხოვებოდა თუ არა მფლობელს ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის

¹² იქვე, მუხლი 159

მოპოვებისას ამ გარემოებების გათვალისწინება. გამომდინარე აქედან, კეთილსინდისიერი მფლობელი შეიძლება იყოს არამართლზომიერი მფლობელი, თუ არ არსებობს მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი და პირს კონკრეტული გარემოებების საფუძველზე არ შეეძლო გაეცნობიერებინა მფლობელობის არამართლზომიერება. მაგალითად, მყიდველმა შეიძინა ნივთი იმ პირისაგან, რომელთანაც მას ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველისათვის უცნობი გარემოებების გამო იყო ქმედუუნარო. მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას კანონმდებლის გადაწყვეტილება, რომელიც, 163-ე მუხლის თანახმად, არაუფლებამოსილ, მაგრამ კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთის დაბრუნების მოვალეობას აკისრებს.

მფლობელობა არის მართლზომიერი, თუ ნივთზე პირის ფაქტობრივი კავშირი წარმოიშობილია სამოქალაქო გარიგების ან კანონით დადგენილი წინაპირობების საფუძველზე. მაგალითად, მართლზომიერია იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოიჯარის მფლობელობა.

კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია მფლობელობა მიჩნეულ იქნეს მართლზომიერად, კერძოდ, როდესაც არ არსებობს უფლებამოსილი პირის ნება, თუმცა ნივთზე მფლობელობის წარმოშობისას სახეზეა კანონით გათვალისწინებული წინაპირობები. მაგალითად, სასამართლო გადაწყვეტილებით, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონებაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონებაზე მართლზომიერ მფლობელობას. ამ შემთხვევაში, მართალია, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ნება არ არის სახეზე, მაგრამ კანონისმიერი მემკვიდრეები კანონის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განიხილებიან, როგორც მართლზომიერი მფლობელები.

როცა მფლობელობა განიხილება საკუთრების ან სხვა უფლების ელემენტად, ამ უფლების კანონიერი გზით წარმოშობა განაპირობებს უფლების ობიექტზე მფლობელობის მართლზომიერებას. ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მფლობელობა უფლების გარეშე, კანონმდებელი, ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სუბიექტის კეთილსინდისიერებას და ნივთზე ფაქტობრივი

ბატონობის სამართლებრივ საფუძველს.

კეთილსინდისიერება, როგორც მფლობელობის განმსაზღვრელი კრიტერიუმი, მხელდველობაში მიიღება არამართლზომიერი მფლობელობის შემთხვევაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კეთილსინდისიერი მფლობელობის საკითხი მხოლოდ მაშინ დგება, როცა მფლობელობა არამართლზომიერია.

მართლზომიერი მფლობელის სტატუსი სუბიექტს ენიჭება კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობისას.

მაგალითად, პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან უფლების დამდგენი დოკუმენტი შეიცავს ხარვეზებს, შეიძლება მიჩნეულ იქნენ მართლზომიერ მფლობელებად: კანონით დადგენილი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში.

პირს მართლზომიერი მფლობელობა ანიჭებს შემდეგი სახის უპირატესობას:

- ✓ მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში მფლობელისათვის ნივთის ჩამორთმევა დაუშვებელია, თვით ნივთის მესაკუთრისგანაც;
- ✓ მფლობელის კუთვნილებად ითვლება მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში ნივთისა და უფლების ნაყოფი.¹³

არამართლზომიერი მფლობელობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ჩამოყალიბებული არ არის არამართლზომიერი მფლობელობის ცნება. არამართლზომიერი მფლობელი შეიძლება იყოს, როგორც ქურდი, ასევე კეთილსინდისიერი მფლობელი ან პირი, რომლსაც ნივთზე მფლობელობა არაუფლებამოსილი პირისგან გადაეცა.

კანონმდებელი არამართლზომიერია მფლობელად მიიჩნევს პირს, რომელიც ნივთს ფლობს სამართლებრივი საფუძველის, კანონის ან მესაკუთრეების ნების გარეშე. არამართლზომიერ მფლობელს არა მარტო არ გააჩნია ფლობის სამართლებრივი საფუძველი, არამედ მას არა აქვს ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვების შესაძლებლობა.

სამოქალაქო კოდექსი ადგენს არამართლზომიერი მფლობელობის ორ სახეს:

- კეთილსინდისიერ მფლობელობას;

¹³ საქ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 162

- არაკეთილსინდისიერ მფლობელობას;

პირის კეთილსინდისიერება განაპირობებს განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც შესაძლებელია დადგეს არამართლზომიერი მფლობელობისას ობიექტით სარგებლობის ან უფლებამოსილი პირისთვის ნივთის დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში.

კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელების მიმართ მოქმედი ნორმების შედარებით თვალსაჩინო ხდება კანონმდებლის განსხვავებული მიდგომა არამართლზომიერი მფლობელობის თითოეული სახის მიმართ. მფლობელობის ფაქტის არამართლზომიერება განაპირობებს როგორც კეთილსინდისიერი, ასევე არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ ნივთის დაბრუნების მოთხოვნას. არა აქვს მნიშვნელობა არამართლზომიერი მფლობელობა მოპევებული იქნა სასყიდლიანი თუ უსასყიდლო გზით, კანონმდებლობა უფლებამოსილი პირისათვის ნივთის დაბრუნების ვალდებულებს ორივე სახის არამართლზომიერ მფლობელს აკისრებს. თუმცა, მფლობელის კეთილსინდისიერება ანიჭებს პირს ნივთის დაკავების უფლებას, ვიდრე უფლებამოსილი პირი აანაზღაურებს ნივთზე გაწეულ ხარჯებს.¹⁴ ეს წესი არ იმოქმედებს იმ შემთხვევაში თუ არამართლზომიერ კეთილსინდისიერ მფლობელს ნივთზე მფლობელობა უსასყიდლო გზით აქვს მოპოვებული. მაგალითად, თუ ნივთის გადაცემის სამართლებრივ საფუძველს ჩუქების ხელშეკრულება წარმოადგენს, რომელიც მოგვიანებით ბათილად იქნა ცნობილი, გარიგების ბათილობის მომენტიდან პირი ვალდებულია უფლებამოსილ პირს დაუბრუნოს ნივთი უპირობოდ.

არამართლზომიერი მფლობელის მიერ ნივთის დაბრუნებისას განსხვავებულად წყდება საკითხი მფლობელობის განმავლობაში ნივთიდან მიღებულ ნაყოფთან დაკავშირებით. კანონმდებელი ნაყოფის მიღების თვალსაზრისითაც განასხვავებს კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელების უფლებრივ მდგომარეობას. კერძოდ, ვიდრე უფლებამოსილი პირი არ გამოიყენებს ნივთის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას, ნივთისა და უფლების ნაყოფი ეკუთვნის არამართლზომიერ კეთილსინდისიერ მფლობელს.¹⁵

¹⁴ საქ, სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 163.3

¹⁵ იქვე, მუხლი 163.1

ისეთ შემთხვევაში, როდესაც არაკეთილსინდისიერ მფლობელს ეკისრება როგორც ნივთის, ასევე უფლების ნაყოფის დაბრუნების მოვალეობა უფლებამოსილი პირისათვის, არამართლზომიერი მფლობელის კეთილსინდისიერება გავლენას ახდენს უფლებამოსილი პირის მოთხოვნისას არამართლზომიერი მფლობელის მიერ ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის დაბრუნების წესზე. არამართლზომიერი კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ბრალეულად მიუღებელი ნაყოფი გაიქვითება იმ ხარჯებში, რომელიც მან განახორციელა ნივთზე მფლობელობის დროს.¹⁶ არაკეთილსინდისიერ მფლობელს კი უპირობოდ ეკისრება ბრალეულად მიუღებელი ნაყოფის ანაზღაურების მოვალეობა უფლებამოსილი პირის მიმართ¹⁷

არამართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში შესაძლებელია ნივთზე კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ გაწეული იქნეს ხარჯები. ხარჯები შესაძლებელია ემსახურებოდეს არამართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში ნივთისგან სარგებლის მიღებას ან მის სათანადო მდგომარეობაში შენახვას. კანონმდებელი აქაც განსხვავებულად უდგება უფლებამოსილი პირის მიერ ხარჯების გადახდის საკითხს, კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი მფლობელობის შემთხვევაში. კეთილსინდისიერ მფლობელს შეუძლია, უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს იმ გაუმჯობესებისა და ხარჯების ანაზღაურება, რაც მან გაიღო ნივთზე კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს, მას კანონმდებელი ანიჭებს კომპენსაციის მიღებას. თუ კეთილსინდისიერმა მფლობელმა ხარჯების პროპორციულად მიიღო ნაყოფი ან შემოსავალი, ასეთ შემთხვევაში მას ანაზღაურების უფლება არ წარმოეშობა.


განსხვავებულად წყდება საკითხი არაკეთილსინდისიერ მფლობელთან მიმართებაში. მას ერთადერთ შემთხვევაში ეძლევა ხარჯების მოთხოვნის უფლება უფლებამოსილი პირის მიმართ, თუ მათ ნივთის უკან დაბრუნების მომენტისათვის უფლებამოსილი პირის გამდიდრება მოჰყვა შედეგად.¹⁸ ამ შემთხვევაში არაკეთილსინდისიერ მფლობელს ეძლევა შესაძლებლობა მიმართოს სასამართლოს კონდიქციური სარჩელით გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

¹⁶ იქვე, მუხლი 163.2

¹⁷ იქვე, მუხლი 164

¹⁸ საქ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 164

ინდივიდუალური და საერთო მფლობელობა, თუ ფაქტობრივ მფლობელობას ახორციელებს ერთი (ფიზიკური ან იურიდიული) პირი. ასეთ შემთხვევაში სახეზეა ინდივიდუალური მფლობელობა. ნივთზე ორი ან მეტი პირის მფლობელობისას კი – საერთო მფლობელობა. ერთ ნივთზე რამდენიმე პირის მფლობელობა იყოფა შემდეგ სახეებად:



ნახ#2 საერთო მფლობელობა

თანაზიარი მფლობელობის შემთხვევაში არსებობს პირთა ფაქტობრივი კავშირი ნივთთან ისე, რომ არ არის განსაზღვრული მათ შორის ინდივიდუალური მფლობელობის ფარგლები. მაგალითად, კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით სამკვიდროს მიღებისას, სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის განმავლობაში მემკვიდრეები ითვლებიან სამკვიდრო ქონების თანამფლობელებად ისე, რომ მათ შორის სამკვიდრო მასაში შემავალ ნივთებზე ინდივიდუალური ან წილობრივი მფლობელობა არ არის განსაზღვრული. ხოლო წილადი მფლობელობის შემთხვევაში თითოეული მფლობელისათვის წინასწარ არის ცნობილი ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის განხორციელების ფარგლები. მაგალითად, ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევაში, თუ ანდერძით დადგენილია მემკვიდრეთა წილი სამკვიდრო მასაში, მემკვიდრეები წილობრივ თანამფლობელებად ითვლებიან. საერთო მფლობელობის შემთხვევაში ნივთზე მფლობელობის გადაცემა ხდება ყველა თანამფლობელის თანხმობით, ხოლო, თუ ნივთზე თანამფლობელის წილი განსაზღვრულია, მფლობელობა მასზე გადადის სხვა თანამფლობელთა თანხმობის გარეშე.

მფლობელობის სახეებსა და მათი განსაზღვრის მნიშვნელობასთან

დაკავშირებით, საინტერესოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც უზენაესი სასამართლო განმარტავს:

მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივ საფუძველზე ახორციელებს ნივთის მიმართ ფაქტობრივ ბატონობას, განსხვავებით კეთილსინდისიერი მფლობელისაგან, რომელსაც არ გააჩნია ნივთის ფლობის კანონისმიერი საფუძველი.¹⁹

კეთილსინდისიერება და არაკეთილსინდისიერება მიუთითებს სუბიექტურ კრიტერიუმებზე, რაც განისაზღვრება პირის დამოკიდებულებით ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლების მიმართ. „მართლზომიერი და არა მართლზომიერი მფლობელობა მიგვითითებს ობიექტურად არსებულ ფაქტორებზე, რაც ვლინდება მფლობელობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობაში. ამრიგად, მართლზომიერი მფლობელია მესაკუთრე და ის პირები, რომელთა მფლობელობაც მესაკუთრის მფლობელობიდანაა ნაწარმოები.“²⁰

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით დიფერენცირებულია მფლობელობა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების მიხედვით (160-ე – 164-ე მუხლები). მნიშვნელოვანია, რომ კანონი გამიჯნავს კეთილსინდისიერი მფლობელის მოთხოვნას (160-ე – 161-ე მუხლები) და მართლზომიერი მფლობელის მოთხოვნას (162-ე მუხლი). ასევე, არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელის ვალდებულებებს (163-ე მუხლი) და არაკეთილსინდისიერი მფლობელის ვალდებულებებს (164-ე მუხლი).

მფლობელისაგან განასხვავებენ ე.წ. „მოსარგებლეს“, რომელიც შეიძლება იყოს, პირი, რომელიც ნივთზე ბატონობას ახორციელებს სხვა პირისათვის (მაგ: მანქანის მძღოლი), ან პირი, რომელსაც ნივთი გადაეცა მეგობრული გარიგების საფუძველზე, რომელიც არ წარმოშობს რაიმე სამართლებრივ შედეგს. (მაგ: მამა დროებით თხოვნის შვილს მანქანას, მამა რჩება მანქანის მფლობელი). მოსარგებლის და მფლობელის შორის განსხვავება ნათლად ჩანს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლიდან გამომდინარე.

¹⁹ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-524-493, თბ., 2012

²⁰ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-524-493, თბ., 2012

1.4 საკუთრების პირველადი საშუალებებით წარმოშობილი მფლობელობა

კანონმდებელი აწესებს, რომ საკუთრების უფლება წარმოიშობა სამართლის ნორმათა საფუძველზე და განსაზღვრული იურიდიული ფაქტების არსებობისას, რომლებიც მიიჩნევა ამ უფლების მოპოვების საშუალებებად. ისინი შეიძლება იყოს პირველადი და ნაწარმოები. უფლებამონაცვლეობის კრიტერიუმი არის საფუძველი ამ კლასიფიკაციის.

პირველადი საშუალებებისას ნივთზე საკუთრება წარმოიშვება პირველად, სრული მოცულობით ან წინა მესაკუთრის ნების და უფლების დამოუკიდებლად.

თავდაპირველი საშუალებების დროს, ნივთზე საკუთრება ან საერთოდ არ არსებობდა, ან იყო ის სხვის საკუთრებაში, მაგრამ ძველ მესაკუთრესა და ახალ შემძენს შორის არ არსებობდა არანაირი კავშირი. ამ ვითარებაში საკუთრების უფლების შეძენის წესი განისაზღვრება მხოლოდ კანონით და არა მხარეთა შეთანხმებით, ან წინა მესაკუთრის ცალმხრივი ნებით.

ნაწარმოები საშუალების დროს საკუთრების უფლების შეძენა ხდება უფლებამონაცვლეობით, ანუ ეს უფლება წარმოიშობა წინა მესაკუთრის ნების საფუძველზე, რომელიც პირდაპირ გამოიხატება ან ივარაუდება ხელშეკრულებაში, ან ცალმხრივ გარიგებაში, ამ შემთხვევაში ახალ მესაკუთრეს გადაეცემა უფლება იმ მოცულობით, რაც გააჩნდა წინა მესაკუთრეს..

საკუთრების უფლების წარმოშობის თავდაპირველი საშუალებებიდან მნიშვნელოვანია უპატრონო ნივთის დაუფლება, განძი, ნაპოვარი და შეძენითი ხანდაზმულობა, რადგან ამ შემთხვევაში სწორედ, მფლობელობის ფაქტი წარმოადგენს საკუთრების უფლების წინა პირობის არსებობას.

საოკუპაციო, ანუ უპატრონო ნივთის დაუფლების შემთხვევაში მესაკუთრე დამოუკიდებელია საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვისას, ამდენად, მას აქვს უფლება უარი თქვას მის ხელთ არსებულ საკუთრებაზე და მიატოვოს ნივთი. კანონი ამ ქმედებას განსაზღვრავს, როგორც უპატრონოა ნივთს, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე, ან რომელიც მესაკუთრემ ნებაყოფლობით მიატოვა მასზე საკუთრების უფლებაზე უარის თქმით.

განმად კანონის ფარგლებში ითვლება ფასეული მოძრავი ნივთი, რომელიც

დიდი ხნის პერიოდში იყო დაფლული ან დამალული, რომ მისი მესაკუთრის დადგენა ფიზიკურად შეუძლებელია.²¹ კანონმდებელი განძზე საკუთრებას აკუთვნებს იმ მიწის ნაკვეთის ან მოძრავი ნივთის მესაკუთრეს, სადაც აღმოჩენილი იქნა განძი, იმ შემთხვევაში, თუ აღმომჩენი თავად ამ ნივთის მესაკუთრეა, ხოლო იმ შემთხვევაში პირი, რომელმაც აღმოაჩინა განძი არ არის მისი მესაკუთრე და იგი სხვა პირია მათ შორის წარმოიშვება საერთო საკუთრება თანაბარი წილის ოდენობით ორ სუბიექტს შორის აღმომჩენსა და ნივთის მესაკუთრეს;²²

ნაპოვარის შემთხვევაში, სამართლებრივი შედეგი დგება არა ნივთის პოვნის ფაქტით, არამედ ნაპოვარის დაუფლებით. ნაპოვარი არის სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება, რომელიც დაკარგული ან დავიწყებულია, რაც ნიშნავს, რომ მესაკუთრემ დაკარგა მასზე მფლობელობა. ნაპოვარი განძისგან განსხვავებით, რომელიც ისე დიდხანს იყო დამალულ მდგომარეობაში, რომ მისი მესაკუთრის არსებობის შესახებ ვარაუდი გამორიცხულია, ნაპოვარი ქმნის ვარაუდს, რომ ნივთის მესაკუთრე არსებობს. ნივთის მპოვნელი ვალდებულია გადასცეს ნივთი მესაკუთრეს ან თუ შეუძლებელია პირის ვინაობის დადგენა, ასეთ შემთხვევაში ნაპოვნი ნივთი გადაეცემა სახელმწიფოს. მესაკუთრის გამოჩენის შემთხვევაში მპოვნელის უფლებაა მოითხოვოს ჯილდო და ნივთის შენახვაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

²¹. ზოიძე ბ, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში, ი, თბ., 2003, გვ. 404

²² Васильев Е.А., Комаров А.С., Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.2, М., 2006, 364

თავი II შედარებითი სამართალი

2.1 მფლობელობა რომის სამართალში

მფლობელობის არსის განსაზღვრის ისტორია დაკავშირებულია რომის სამართალთან. მფლობელობას, როგორც სამართლებრივ ინსტიტუტს და მის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაეყარა რომის სამართალში. ჯერ კიდევ თორმეტი ტაბულის კანონებისთვის იყო ცნობილი ნივთებით სარგებლობის ცნება (usus) მოგვიანებით კი ნივთის პერსონის ფაქტობრივ მდგომარეობას (res facti), რომელსაც, მიუხედავად მასზე უფლებრივი მდგომარეობის საკითხის გადაწყვეტისა, რომაული მართლწესრიგი უკავშირებდა განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. რომის სამართალში ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა :

- ფაქტობრივი მფლობელობა-possessio
- იურიდიული მფლობელობა naturalis possessio civilis.

იურიდიული მფლობელობის სტრუქტურა, აღებულ იქნა causa possessionis-გან, რომელიც მოიცავდა ორ ელემენტს:

- Corpus - როგორც ნივთზე ფაქტობრივი მფლობელობა;
- animus - როგორც პირის ნივთზე ნაგულისხმევი მფლობელობის ნება.

შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ კერძო სამართალში, მიუხედავად რომანული თუ გერმანული საწყისებისა, სწორედ ამ ორი ელემენტის საფუძველზე ხდება მფლობელობის ინსტიტუტის განსაზღვრა.

რომაელი კანონმდებლები მფლობელობად განსაზღვრავდა ნივთზე ფაქტობრივ ბატონობის მდგომარეობას და მფლობელობას, როგორც ფაქტად ისე აღიქვამდა.

რომის სამართლის დოქტრინის თანახმად საკმარისი არ იყო მფლობელობის მოსაპოვებლად მხოლოდ ფაქტიური ბატონობა ნივთზე, ნივთზე უშუალო ბატონობის ელემენტს, Corpus ემატებოდა სუბიექტური ელემენტი, animus, რომელიც მდგომარეობს ნივთის თავისთავში ფლობის ნებას. ძველ რომაულ სამართალში სწორედ ასეთი ორი ელემენტის არსებობა ქმნიდა მფლობელობის იურიდიულ კონსტრუქციას.

რომის სამართალი მფლობელობას არ მოიაზრებოდა იქ, სადაც პირის ნივთთან სხეულებრივი კავშირი ნების გამოხატვის გარეშე არსებობდა, მაგალითად, მძინარე ადამიანის, ჩვილის ნივთთან შემხებლობას.²³ ისეთი პირები, როგორებიც არიან ქმედუუნარო პირები და ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ასაკის გამო საკუთარი ნების გამოხატვა არ შეუძლოთ, ასევე არასრულწლოვნები, რომელთა ასაკი განისაზღვრებოდა 7-14 წლამდე – მეურვეების, 14-25 წლამდე ასაკის მქონე პირები, რომლებიც იყვნენ სულით ავადმყოფები, გონებასუსტები, ყრუ-მუნჯები მზრუნველების დახმარებით მოიპოვებდნენ მფლობელობის უფლებას.

მფლობელობის მოპოვებისათვის კონკრეტული საგანის მიმართ გამოვლენილი ყოველგვარი ნება არ იყო საკმარისი მფლობელობის უფლებისათვის საკმარისი.

რომის სამართალი ანიმუს პოსესსიონის-ში ნივთის თავისთვის და არა სხვისთვის ფლობის სურვილს გულისხმობდა. გამომდინარე აქედან სხვისი სახელით, სხვის ინტერესებში ნივთის ფაქტობრივი დაუფლების მდგომარეობა ჭერა-პყრობად, ხოლო მისი სუბიექტი მჭერმპყრობელად იწოდებოდა.²⁴

რომის სამართალი საკუთრების უფლების სუბიექტად მიიჩნევდა, მხოლოდ რომის მოქალაქეს, ობიექტი, კი იყო ისეთი ნივთები, რომლებიც მანციპირებული და ბრუნვაუნარიანი იყო. ამ ნივთების შეძენა შესაძლებელი იყო მანციპაციით და ცესიით. ამ გზით მოპოვებული პირის მფლობელობა მართლზომიერია. საკუთრად ფლობის განზრახვა აქვს არამართლზომიერ მფლობელს, რომელიც შესაძლოა, იყოს კეთილსინდისიერი ან არაკეთილსინდისიერი. კეთილსინდისიერი მფლობელი თავს მესაკუთრედ მიიჩნევს, იმის გამო, რომ არ იცის და არც შეიძლება ცოდნოდა კონკრეტული საგნის უკანონობის შესახებ. უფრო ზუსტად, კერძოდ, მან არ იცის, რომ ნივთი შეიძინა მის გასხვისებაზე არაუფლებამოსილი პირისგან, ამ ფაქტის საპირისპიროდ, არაკეთილსინდისიერი მფლობელი, ნივთის უკანონო მიმტაცებელ-მიმთვისებელია, მაგ., ქურდი, ნაპოვრის მიმთვისებელი, იცის, რომ ნივთი მას არ ეკუთვნის, თუმცა გარშემომყოფთ თავს მესაკუთრედ აჩვენებს.

რომის სამართალში მფლობელობა განისაზღვრებოდა ისეთ ნივთებზე,

²³ ქოჩაშვილი ქ, მფლობელობა, როგორც საკუთრების პრეზუმცია, დისერტ., თბ., 2012 გვ. 23

²⁴ნადარეიშვილი გ, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, გვ. 65.

რომლებზეც დასაშვებია იყო საკუთრების უფლების წარმოშობა.

რომის სამართალი ასევე ითვალისწინებდა, რომ მფლობელობის ობიექტებს არ მიაკუთვნებდა სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ საგნებს:

- ✓ ნივთები, რომლებიც ბუნებრივი თვისებების ან სპეციალური დანიშნულების გამო საერთო კუთვნილებად ითვლებოდა, მაგალითად, ჰაერი, ზღვა, მისი ნაპირი, მდინარეები;
- ✓ საჯარო ნივთები, რომელიც ქალაქის, თემის ან კორპორაციის საკუთრება იყო.²⁵

რომის სამართალი მფლობელობის ობიექტურ ელემენტს განისაზღვრავდა, პირის ნივთთან ისეთ დამოკიდებულებად, როგორც მესაკუთრეს საკუთარი ქონების მიმართ.

2.2 მფლობელობა კონტინენტური ევროპის სამართლის ფარგლებში

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემაში გამოყოფენ რომანული სამართლის ქვეყნებს და გერმანული სამართლის ქვეყნებს. რომანული სამართლის ოჯახი ჩამოყალიბდა ნაპოლეონის ეპოქის კანონმდებლობის გავლენით.

კონტინენტური ევროპის სამართალი განსაზღვრავს საგანთან მიმართებაში ორი სახის წესს: ფაქტობრივს და იურიდიულს. ნივთზე იურიდიული ბატონობა საკუთრებაა, ხოლო ნივთზე ფაქტობრივი თვისებების ქონა ძალაუფლება.

საგნის ფლობა სამართლებრივი საფუძვლებისგან დამოუკიდებლად არსებული, მფლობელობად იწოდება.²⁶

მფლობელობა უპირისპირდება უფლებას, როგორც სამართლებრივ ხელისუფლებას საგანზე, როგორც სამართლებრივი წესრიგის მიერ აღიარებული ფაქტობრივი ძალაუფლება.

²⁵ნადარეიშვილი გ, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003, გვ. 45.

²⁶ Покровский И. А., Основные проблемы гражданского права, М., 1998, с. 223.

კონტინენტური ევროპული კანონმდებლობით მფლობელობა არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ნივთები განუყოფელ კავშირში არიან მფლობელთან და ემორჩილებიან მის ნებას, ანუ მისი უშუალო ბატონობის ქვეშ არიან მოქცეულნი.

გერმანული სამოქალაქო სამართლით მფლობელობა გულისხმობს ნივთის ფაქტობრივ ნებელობით დაუფლებას, მასზე ფაქტობრივ ბატონობას, ხელისუფლებას.

ფრანგული სამოქალაქო სამართალიც მფლობელობას განიხილავს, როგორც პირის მიერ ნივთის გააზრებულად, ფაქტობრივად დაუფლების მდგომარეობად.

მიუხედავად იმისა, რომ ცივილისტიკაში აღიარებული შეხედულებით მფლობელობა წარმოადგენს ფაქტს და არა უფლებას არსებობს სხვა მოსაზრებაც რომელიც ითვალისწინებს მას უფლებად ან როგორც ფაქტს.

მფლობელობის იურიდიული ბუნების საკითხი იურისტებმა გააქტიურეს მისი განსაზღვრა. მათ ერთმანეთს დაუპირისპირეს ურთიერთობები, სადაც გამოვლენილი იყო მფლობელობის, როგორც ფაქტის, ისე უფლების თვისება.

მე-17-18 საუკუნის ფრანგი იურისტები მფლობელობას მოიაზრებდნენ, როგორც ფაქტობრივ მდგომარეობას. ეს შეხედულება გაიზიარეს გერმანელმა კანონმდებლებმაც და დომინირებდა იურისდიქციაში მე-18 საუკუნემდე.

სავინი მიიჩნევდა ანიმუს პოსესიონის-ს (მფლობელობით ნებას) მფლობელობის მუდმივ საწყისად და განიხილავდა მფლობელობას როგორც ფაქტს, ასევე უფლებასაც. მისი მოსაზრებით, მფლობელობა პირველადი გაგებით ფაქტია, მაგრამ რადგან მასთან დაკავშირებულია უფლებრივი შედეგები, გამომდინარე აქედან, ის შეიძლება იყოს ფაქტიც და უფლებაც.

ვინდშიიდის აზრით მფლობელობასთან სამართლებრივი შედეგების დაკავშირება, მფლობელობას არ გარდაქმნის უფლებად. მფლობელობას უფლებად აღიქვამს ასევე რუსული სამართალიც. ისინი განსაზღვრავენ, თუ უფლება ნების ბატონობაა, მფლობელობა სავსებით აკმაყოფილებს უფლების ამ თვისებას, რადგან მფლობელობის ობიექტი არის ნივთი, მასზე ფაქტობრივი ბატონობა წარმოიშობა პასიურ სუბიექტთა ნების მიუხედავად და დაცულია ნებისმიერი ხელმყოფისგან, და მის ადგილს განსაზღვრავდნენ სანივთო სამართალში.

მფლობელობა არ არის ფაქტობრივი მდგომარეობა, ის სანივთო უფლებაა, მხოლოდ საკუთრებასთან შედარებით მცირე.

კონტინენტური ევროპის სამართალი იზიარებს და მფლობელობა ინარჩუნებს რომის სამართლის შეხედულებებს. რომის სამართლის მსგავსად აღიარებს მფლობელობის ორი მთავარ ელემენტის არსებობას: მატერიალურს, რომელიც ნივთის ფაქტობრივი დაუფლების მდგომარეობაა და ნებაზე დამოკიდებულს სუბიექტურს, რაც გამოიხატება, რომ პირის ნებაა ფლობდეს საგანს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

კონტინენტურ სამართალში მფლობელობის მოსაპოვებლად საჭიროა ნივთზე უშუალო ზემოქმედება, რომელსაც თან ახლავს მფლობელის ისეთი ნება, რომელიც გულისხმობს მოეპყრას ნივთს, როგორც საკუთარს.

მფლობელობის ობიექტური ელემენტი განისაზღვრება, როგორც ფაქტობრივი შესაძლებლობის ქონა ნივთზე უშუალო ბატონობისათვის.

ჩორპუსი არის გარეგნული კავშირი პირსა და ნივთს შორის, რომელიც არის მანამდე, ან ნივთი ფაქტობრივად პირს ეკუთვნის, ეს ნიშანი არ დაიყვანება ნივთის მიმართ ფიზიკურ შემხებლობამდე. მფლობელობა არ შეიძლება განისაზღვროს ნივთთან სივრცობრივი კავშირით.

მფლობელობის მატერიალური ელემენტი მიიღწევა პირის მიერ განხორციელებული ისეთი მოქმედებით, რომელიც გამოვლენილი შეიძლება იყოს, როგორც ცალმხრივი ან ორმხრივი ნების გამოვლენის შედეგი.

მაგალითად, დაუფლება, ცალმხრივი ნების გამოვლენის არის მართლზომიერად (უპატრონო ნივთის დაუფლება, ან არამართლზომიერად სხვისი ნივთის წინასწარი შეცნობით, თვითნებური დაუფლებით. ორმხრივი ნების გამოვლენით განხორციელებული მოქმედება მფლობელობისათვის არის ტრადიციო (ნივთის გადაცემა). ამასთან, არსებობს მფლობელობის დაფუძნების შემთხვევა მისი ელემენტების გარეშე, კანონისმიერი ფიქციის მეშვეობით, კერძოდ, მფლობელობის მემკვიდრეობით გადაცემა:

მფლობელობის არსებობისთვის მეორე აუცილებელი ელემენტი მფლობელობითი ნების არსებობაა. ანიმუს-ი, რაც ნიშნავს სურვილს, შეინარჩუნოს ნივთით სარგებლობის ფაქტობრივი შესაძლებლობა. ამით განსხვავდება მფლობელობა ნივთთან პირის უბრალო სივრცობრივი ურთიერთობისგან.

პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ნებელობითი ელემენტი

აშკარად არ არის პირის მიერ გამოვლენილი, მაგრამ ის ივარაუდება, მაგალითად, პირი ითვლება იმ ნივთის მფლობელად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი არყოფნის დროს მის ბინაში იქნა მიტანილი.

კონტინენტური ევროპის სამართალი მფლობელობის შეწყვეტის გარემოებად მიიჩნევს მისი ელემენტების არ არსებობას. თუმცა მის უკან არსებული უფლება ძალაში რჩება, რაც მფლობელობის აღდგენის საფუძველს უქმნის სუბიექტს.

2.3 მფლობელობა ძველ ქართულ სამართალში

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერი უარყოფს, რომ ძველ ქართულ სამართალში მფლობელობის დაცვა არსებობდა და მას იცავდა საკუთრების სარჩელი, აღნიშნული პროცესი არსებობდა საქართველოში. ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ძველი სასამართლო პრაქტიკა.

ფაქტობრივი მფლობელობის სამართლებრივი დაცვა საქართველოში განპირობებული იყო იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით. მფლობელობითი დაცვა განპირობებული იყო იმდროინდელი ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე, იმდროინდელ ფეოდალური საქართველო ისტორიკოსების მიერ აღწერილია შინააშლილობის პროცესების არსებობით, აქედან გამომდინარე სწორედ თვითნებობის აღსაკვეთად სჭირდებოდა იმდროინდელ ხელისუფლებას მფლობელობის დაცვა, რათა სახელმწიფოში სიმშვიდე შენარჩუნებულიყო ხელისუფლება იცავდა მფლობელობას, მაშინაც კი, როდესაც უკანონოდ იყო მოპოვებული მისი უფლება.

კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მიერ უარყოფილი იყო ფაქტობრივ ურთიერთობათა თვითნებურად შეცვლა და იცავდა სადავო საქმეებს სასამართლო წესით, მანამდე კი პირვანდელი სახით აღდგებოდა დარღვეული

მფლობელობა და მოპასუხეს ეკისრებოდა მფლობელისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სასამართლო პროცესამდე მფლობელობის დაცვა მეფის ბრძანებით ხორციელდებოდა, ადგენდნენ ოქმს, რომელსაც ეწერა მომჩივანის არზა. ერეკლე II ერთ-ერთ ბრძანებაში, რომლის აღსრულებაც იასაულს ჰქონდა მინდობილი, მეფე გამოთქვამდა აზრს, რომ მფლობელობა დარჩენილი ყოფილიყო კონკრეტული პირის საკუთრებაში, მაგრამ თუ ამ ფაქტს არ იზიარებდა მომჩივარი, ასეთ შემთხვევაში მას უნდა მიემართა სასამართლოსათვის. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდა, როდესაც მომჩივარი მდივანზეც მიმართავდა. მიუხედავად იმისა, რომ მფლობელობის დამადასტურებელ ბრძანებას მდივანზეგი გამოსცემდა, მაინც ასეთ ბრძანებაზე მეფის ბეჭედი უნდა ყოფილიყო დასმული.

მფლობელობითი დაცვის თავისებურებას წარმოადგენს, სწორედ ის ფაქტი, რომ ნივთის მფლობელს კანონმდებელი არ სთხოვს აღნიშნული საგნის ფლობის სამართლებრივ საფუძველს.

მველ ქართულ სამართალში კანონიერი მფლობელობის გვერდით უკანონო მფლობელობის დაცვაც ხდებოდა. ფაქტობრივი ბატონობა საგანზე, ანუ კანონიერების თუ უკანონობის დადგენა ნორმატიული ნების შეფასებით ხორციელდება. გამომდინარე აქედან კანონიერია მფლობელობა, რომელიც ნორმატიულ ნებაზეა დამყარებული, ხოლო უკანონოა მფლობელობა, რომელიც არ არის კანონიერ ნორმაზე დამყარებული.

უპირველეს ყოვლისა, ასეთია არაკეთილსინდისიერი მფლობელობა, თუმცა აქ, დამატებით, ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლისადმი პირის დამოკიდებულება, ანუ სუბიექტური შეფასების მომენტი მოქმედებს. არაკეთილსინდისიერ მფლობელად მიიჩნევა პირი, რომლის მიერ ნივთის მფლობელობა მოპოვებულია ძალადობით ან ფარულად, რადგან იცოდა, რომ ნივთი მას არ ეკუთვნოდა. ძალადობის გზით დამყარებული მფლობელობის სამართლებრივი დაცვის პრეცედენტი განსაკუთრებით დეცენტრალიზაციის ვითარებაში შეიმჩნევა. მაგალითად, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 176-ე მუხლში პირდაპირ მიუთითებდა კანონმდებელი, არაფერს არ წერს მფლობელობის გაუქმებაზე, ან ჩამორთმევაზე, კანონის განმრტებას ასრულებს შემდეგი სიტყვებით,

„რომელსაც დარჩეს, ნულარ ართმევს“ ამ სიტყვათა წყობიდან ნათლად ჩანს, რომ მფლობელობის გაუქმებაზე იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა კანონი. მფლობელობის სასამართლომდე დაცვა დროებითი ხასიათის ფორმა ჰქონდა, რადგან საქმე სასამართლოზე შესაძლებელი იყო სხვანაირად წარმართულიყო საქმის მსვლელობა.

სასამართლო ფაქტობრივ მფლობელობის დაცვას ახორციელებდა საქმის გარემოებათა რაიმე საგანგებო გამოძიების გარეშე. აქედან გამომდინარე ხშირად მფლობელობით პროცესში დამარცხებულ მხარეს სადავო უხდებოდა საკუთარი უფლება კონკრეტული საგნის მფლობელობაზე. წარმოიშვებოდა ახალი დავა ყოფილი მოპასუხე უკვე მოსარჩელის პოზიციაში გამოდიოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დავის საბოლოო გადაწყვეტამდე სადავო ნივთი ფაქტობრივ მფლობელობაში რჩებოდა, მხოლოდ მას არ ჰქონდა უფლება გაესხვისებინა სადავო საგანი, ასევე გაენათხოვრებინა, ან გაექირავებინა.

სასამართლო პროცესში მოსარჩელეს შეეძლო მფლობელისათვის წაეყენებინა მოთხოვნა ფლობის სამართლებრივ საფუძველზე არსებული დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ მფლობელს არ გააჩნდა ამ ტიპის დოკუმენტი, ასეთ შემთხვევაში მას სადავო საგანი ჩამოერთმეოდა და უფლებამოსილს გადაეცემოდა დადგენილი ნორმის ფარგლებში.

დოკუმენტის წარუდგენლობის მიზეზი შესაძლებელი იყო უმეტესად მისი არქონა, ან მისი ფორმალური ან შინაარსობრივი ნაკლოვანება რაც იწვევდა ეჭვს დოკუმენტის ნამდვილობის, ან სათუოდ ხდიდა მის ნამდვილობას.

უფლებამოსილი პირის მიერ მფლობელისთვის ნივთის თვითნებურად ჩამორთმევა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონი ნივთს მფლობელს უბრუნებდა.

უფლებამოსილი პირის მიერ მფლობელისთვის ნივთის თვითნებურად ჩამორთმევა, ქონებრივ სასჯელსაც ითვალისწინებდა, ჯარიმას აწესებდა როგორც ბექა-აღბუღას, ისე დავით ბატონიშვილის სამართალი. ამ უკანასკნელის თანახმად, თვითნებობით მოქმედ პირს ორმაგი გადახდა ეკისრებოდა, როგორც დაზარალებული პირისთვის და მეორე სახელმწიფო ხაზინასი უნდა გადაეხადა, იმდროინდელი სიტყვებით „უნდა დაიდვას სახმარად საზოგადოებისათვის.“

ფეოდალური სამართლის დამოკიდებულება ამ შემთხვევასთან მიმართებაში მსგავსია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმის, რომლის თანახმად, მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით²⁷.

ფეოდალურ ეპოქაში კერძოდ, სამეფო ხელისუფლების შესუსტების პერიოდში, ასევე აღინიშნება ფაქტობრივი ბატონობის თვითდაცვა. მაგალითად, დასავლეთ ევროპაში სასულიერო და საერო ფეოდალები, როგორც მიწის მფლობელები, მდაბიო ხალხის მეშვეობით მოძალადეთაგან თავდაცვის კავშირებს ქმნიდნენ. გვიან ფეოდალურ საქართველოშიც არსებობდა წვრილ აზნაურთა და გლეხთა გაერთიანება მფლობელობის დაცვასთან მიმართებაში.

2.4 მფლობელობა საბჭოთა სამართალში

საბჭოთა სამართალში საკუთრებისა და მისი შინაარსის განმსაზღვრელი ელემენტები: მფლობელობის და მისი სარგებლობის ურთიერთმიმართება ადასტურებს ამ სისტემი „ორიგინალურობას“.

რომის სამართლიდან მოყოლებული, მფლობელობას, როგორც ფაქტობრივ მდგომარეობას, საბჭოთა ცივილისტიკის მიერ განსაზღვრული იყო ერთი მხრივ, ამ შინაარსით მფლობელობის ფაქტობრივი დაუფლების მდგომარეობით, რომელიც ნივთზე ფიზიკური და სამეურნეო ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა და მეორე მხრივ, საკუთრების პირის სამართლის ნორმებით განსაზღვრული შესაძლებლობა კანონით დადგენილ ფარგლებში ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ან სხვა უფლების ელემენტად — უფლებამოსილებად, რომელსაც სახელმწიფო საკუთრებასთან მიმართებით გაურკვეველი შინაარსის უფლებად არსებობაზე

²⁷ საქ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 160

ჰქონდა პრეტენზია.

საბჭოთა სამართალში მფლობელობის უფლებას არ გააჩნდა არც წმინდა სანივთო, არც წმინდა ვალდებულებითი ხასიათი. მიუხედავად კანონის მიერ მისი შინაარსის ზუსტად განსაზღვრისა და ამ უფლების აბსოლუტური სასარჩელო დაცვით უზრუნველყოფის, მისი ფარგლების დადგენაში სახელმწიფო, როგორც მესაკუთრეც აქტიურად ერეოდა და ამ უფლების სუბიექტს განკარგვის უფლებამოსილებას საკმაოდ უზღუდავდა. სახელმწიფოს ასეთი ქმედება მიზნად ისახავდა სანივთო უფლებათა ხელოვნურ უარყოფას, რომლიც მფლობელობის ცნებას მოიაზრებდა.

შესაბამისად, ეს წარმოადგენდა მცდელობას ადამიანში არსებული კერძო მესაკუთრული გრძნობების შებოჭვის. საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დადგენილების მიღება, ასევე კერძო მესაკუთრული იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სახელმწიფოს პოლიტიკას.

კანონის ნორმატიულ ნებასთან დამოკიდებულებით მფლობელობა შესაძლოა იყოს მართლზომიერი, რომელიც ამა თუ იმ სამართლებრივ საფუძველზეა დამყარებული, და ასევე შეიძლება იყოს არამართლზომიერი, რომელიც დამყარებულია არაკანონიერ საწყისებაზე.

მართლზომიერი მფლობელი მესაკუთრეა. სოციალისტურ საზოგადოებაში დამკვიდრებული საკუთრების ფორმების მიხედვით, შესაძლო მესაკუთრეთა შორის გამორჩეული, ხელისუფლებითი ხასიათის სუბიექტი იყო სახელმწიფო. სახელმწიფოს საკუთრებაში იყო მიწა, ბუნებრივი რესურსები, წარმოების ძირითადი საშუალებები მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი, ბანკები, ძირითადი საქალაქო საბინაო ფონდი. კოლმეურნეობების, კოოპერატივების, პროფკავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებაში მოქცეულ იყო საწესდებო ამოცანათა შესასრულებლად. საჭირო ქონება, რომლის შემადგენლობაში შედიოდა როგორც წარმოების საშუალებები და იარაღები, ისე მოხმარების საგნები.

საბჭოთა სისტემაში მოქალაქეთა პირადი საკუთრება მოიცავდა მხოლოდ მოხმარების საგნებს, როგორცაა საცხოვრებელი სახლი, საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კეთილმოწყობის, დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, შრომითი

დანაზოგი, რომელთა დანიშნულება მოქალაქეთა მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იყო.²⁸

საბჭოთა სისტემაში მოქალაქის ქონების სამომხმარებლო თვისება საფუძველი იყო, რომ ამ ქონების ოდენობა შეზღუდულიყო და მისგან არაშრომითი შემოსავლის მიღება აკრძალულიყო, მაგალითად ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს საკუთრებად შეიძლება ჰქონოდათ ერთი საცხოვრებელი სახლი ან მისი ნაწილი. ასეთი ქონება დაბრკოლებას არ ქმნიდა სოფლად ან სააგარაკო ადგილას სახლის შექმნისათვის, რადგან პირველი საბინაო, ხოლო მეორე დასვენების მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. მოქალაქის საკუთრებაში ერთზე მეტი საცხოვრებელი სახლის ან ბინის არსებობისას მესაკუთრე მოვალე იყო, ერთი მათგანი საკუთრებად დაეტოვებინა, ხოლო ზედმეტი, მასზე საკუთრების უფლების წარმოშობის დღიდან ერთი წლის განმავლობაში, გაესხვისებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ქონებას იძულებითი ღონისძიებები ემუქრებოდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ მესაკუთრეს ეკრძალებოდა სამი წლის მანძილზე ერთზე მეტი სახლის ან ბინის გაყიდვა, რომ მას არ მიეღო არაშრომითი შემოსავალი. ამ მიზნით ასევე დაუშვებელი იყო იმავე ქონების სისტემატური გაქირავება. ამ წესის დამრღვევს კანონმდებელი ადგენდა, რომ ქონება უსასყიდლოდ ჩამოერთმეოდა.²⁹

სახელმწიფო მესაკუთრის უფლებამოსილებას თავისი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მეშვეობით ახორციელებდა. საბჭოთა სამოქალაქო სამართლებრივ დოქტრინაში დამკვიდრებული წესის თანახმად, სახელმწიფოს მიერ საკუთარი ორგანოებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების მესაკუთრედ კვლავ თვითონ რჩებოდა. აზრი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ქონების მესაკუთრე სახელმწიფოსთან ერთად იყო საწარმო, უარყოფილ იქნა, რაც აიხსნებოდა იმ ფაქტით, რომ მათ შორის დაპირისპირების საფუძველი არ გამხდარიყო. საწარმოები და სხვა ამ ტიპის ორგანიზაციები სახელმწიფო ქონებას ფლობდნენ ოპერატიული მართვის უფლების საფუძველზე და არა როგორც მათი საკუთრების. ოპერატიული მართვის უფლებას კანონმდებელი განსაზღვრავდა, მის

²⁸ ქოჩაშვილი ქ, მგლობელობა ფაქტი და უფლება, თბ., 2008, ჟურნ., სამართლის ჟურნალი, N2, გვ. 7-10

²⁹ იქვე

შინაარსს კანონით და მესაკუთრის ნებით განსაზღვრავდა.

ოპერატიული მართვის უფლება სოციალისტური საკუთრების უფლების რეალიზაციის სამართლებრივ ფორმას წარმოადგენდა და დამოკიდებული იყო საკუთრების უფლებაზე. ოპერატიული მართვის უფლების მქონე პირებს სამართავად გადაცემოდან ქონება განკარგვის შეზღუდული უფლებამოსილებით. ძირითად საშუალებები მოიცავდა მიწას, შენობა-ნაგებობებს, მოწყობილობებს.

საბჭოთა სახელმწიფოში ეკონომიკური რეფორმის განხორციელების აუცილებლობამ მოითხოვა სახელმწიფო საკუთრების მართვის ახალი სამართლებრივი წესრიგის დამყარება. ამისთვის შეიქმნა ოპერატიული მართვის უფლებასთან შედარებით ფართო უფლებამოსილების მომცველი სრული სამეურნეო გამგებლობის ინსტიტუტი. მისი არსის გათვალისწინებით, მინიმუმამდე მცირდებოდა სახელმწიფოს ჩარევა მის ორგანოთა საქმიანობაში. კერძოდ, დაუშვებელი იყო სახელმწიფოს მიერ მათთვის გადაცემული ქონების ჩამორთმევა ან მსგავს სუბიექტებზე გადანაწილება.³⁰ საბჭოთა სისტემაში სახელმწიფო ქონებაზე ბატონობას ახორციელებდა საკუთრების უფლების საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოები კი – ზემოხსენებულ უფლებებზე დაყრდნობით.³¹ ანალოგიური ვითარება იქმნებოდა, როდესაც სახელმწიფო საკუთარ ქონებას უვადოდ ან განსაზღვრული ვადით, უსასყიდლოდ ან სასყიდლით გადასცემდა სხვა სუბიექტებს.

საბჭოთა სამართალი მფლობელობით დაცვასთან დაკავშირებით ითვალისწინებდა მხოლოდ მართლზომიერ უფლებებზე დამყარებულ მფლობელობის დაცვას. საბჭოთა სამართლისთვის უცხო იყო რომის სამართლის მფლობელობითი (პოსესორული) პროცესი, რომელიც გულისხმობს ფაქტობრივი ბატონობის დაცვას განსაზღვრულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, იმ უფლებისაგან დამოუკიდებლად, რომლებსაც შეიძლება ეფუძნებოდეს მფლობელობა.³² საბჭოთა სამართალი მიიჩნევდა, რომ მფლობელობითი დაცვა არ გამომდინარეობდა საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნიდან და არ შეესაბამებოდა სამოქალაქო კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს,

³⁰ ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა ფაქტი და უფლება, თბ., 2008, ჟურნ., სამართლის ჟურნალი, N2, გვ. 7-10

³¹ იქვე

³² Халфина З.О., Право личной собственности граждан СССР, М., с. 133.

სამოქალაქო სამართლის პროცესის პრინციპებს.

თავი III მფლობელობის არსი და დაცვა გერმანულ სამართალში

3.1 მფლობელობა გერმანულ სამართალში

გერმანიის თანამედროვე სამოქალაქო სამართალში მფლობელობის კონცეფცია ეფუძნება მის ერთადერთ ელემენტს, corpus-ის არსებობას. გერმანულ სამართალში ნივთზე მფლობელობის შექმნა ხდება ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვებით³³ აღნიშნული ნორმის შინაარსი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გერმანელმა კანონმდებლებმა უარი თქვეს რომის სამართალში არსებული მფლობელობის ორელემენტთან კონსტრუქციაზე.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მთავარი თავისებურება გამოხატულია იმ ფაქტით, რომ მფლობელობის ცნება განსაზღვრულია არა ზოგად ნორმაში, არამედ დაწესებულია სპეციალური ნორმები, რომელიც აწესრიგებს მპყრობელის და შუამავალი მფლობელის სამართლებრივ მდგომარეობას.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „პირის ფაქტობრივი ძალუფლება ნივთზე სხვა პირის სასარგებლოდ ისე, რომ არ არსებობს ნივთის საკუთრად მიჩნევის ან საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების საფუძველი, არ მიიჩნევა მფლობელობად.“³⁴ ე. ი. თუ პირი ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე სხვა პირისათვის ამ უკანასკნელის საოჯახო მეურნეობასა თუ სამეწარმეო საქმიანობაში ან სხვა ურთიერთობაში, რომლის ძალითაც მან ნივთთან დაკავშირებით უნდა შეასრულოს სხვა პირის მითითებები, მფლობელია მხოლოდ სხვა პირი.

გერმანულ სამართალში ასევე, მფლობელად ითვლება პირი, რომელიც დროის გარკვეულ ნივთს არ ფლობს, მაგრამ ითვლება, რომ ნივთი მის დაქვემდებარებაშია. მაგალითად, ნივთი, რომელიც გადის მფლობელის ბატონობიდან და აღმოჩნდება სხვა პირის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მაშინ მიწის ნაკვეთის მფლობელმა უნდა დართოს კონკრეტულ პირს ნივთის ძებნისა და დაბრუნების ნება,

³³ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 854.1

³⁴ იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 855, თბ., 2014, გვ. 75

თუ ნივთი ამ დროს არ იყო მფლობელობაში მიღებული მიწის ნაკვეთის მფლობელის ან მესამე პირის მიერ. მიწის ნაკვეთის მფლობელს შეუძლია მოითხოვოს ძებნისა და ნივთის დაბრუნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ კი არსებობს ზიანის მიყენების საფრთხე, მაშინ მას შეუძლია, უარი თქვას მიწის ნაკვეთზე დაუშვას კონკრეტული პირი, სანამ მას არ წარედგინება უზრუნველყოფა; „უარის თქმა დაუშვებელია, თუ დაყოვნება დაკავშირებულია საფრთხეებთან“.³⁵

აღნიშნული მაგალითები იძლევა იმის საფუძველს, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში უპირატესობა არ ენიჭება რომელიმე ელემენტს, corpus-ს ან animus-ს, უმეტესად მფლობელობის წარმოშობის კონკრეტულ ეტაპზე ხდება პირის ნების animus-ის გათვალისწინება. ისეთ პირს, რომელიც სხვა პირის სასარგებლოდ ახორციელებს მფლობელობას, მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობს საგანთან, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი ინტერესებისათვის ნივთის ექსპლუატაციის განზრახვა, ამდენად, კანონმდებელი მას არ ანიჭებს მფლობელის სტატუსს.

განვიხილოთ მაგალითი, გერმანული კანონმდებლობის საფუძველზე მოიპოვებს თუ არა პირი ნივთზე მფლობელობას, რომელიც მას ერთი წუთის წინ ქურდმა ჩაუგდო? კანონმდებლის პასუხი ცალსახაა და გამოხატულია უარით. ამის მიზეზს წარმოადგენს ის მდგომარეობა, რომ კონკრეტულ სუბიექტს არ ჰქონდა სურვილი ამ საგნის მფლობელი გამხდარიყო და არც არანაირი ქმედება არ განუხორციელებია მის მისაღებად.

განვიხილოთ მეორე მაგალითი, როდესაც ნივთს იძენს სუბიექტი წარმომადგენლის შუამავლობის შედეგად, ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მფლობელობის წარმოშობის ნება არსებობს, რაც გამოხატულია მინდობილობის განხორციელებით. რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სუბიექტს სურდა ნივთს დაუფლებოდა, ამის დასტურია მის მიერ მიდობილობის გადაცემა მეორე პირზე.

თანამედროვე გერმანული კანონმდებლები განსაკუთრებულად აღნიშნავენ, რომ მფლობელობისათვის სუბიექტის მიერ ნება გამოვლენილ უნდა იქნას, არა მარტო მოპოვების, არამედ აუცილებელია მფლობელობის განხორციელების

³⁵იან კროპპოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 855, თბ., 2014., მუხლი 867

პროცესშიც. ვიდრე ფაქტობრივი მფლობელობა სახეზეა, მფლობელობის მიმართ ნებაც აშკარაა. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ animus -ი corpus-ის გამოხატულებას წარმოადგენს.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 854-ე მუხლით გათვალისწინებული მფლობელობა არ განსაზღვრავს საგანზე უწყვეტი ფიზიკური კავშირის არსებობას.

იერინგისა და სავინისეული შეხედულებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფაქტი განიმარტება, როგორც ფაქტობრივი ბატონობა, რომელიც გულისხმობს მფლობელის მიერ ნივთთან დაკავშირებით ცალკეული მოქმედებების განხორციელების შესაძლებლობას.

რომის სამართლის მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან აცალკევებს მფლობელის და მჭერის სტატუსის მქონე პირებს. გერმანული სამართლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მჭერი მფლობელობითი დაცვის სარჩელებით არ სარგებლობს, მაშინ, როდესაც რომის სამართალში პოსესორული დაცვის უფლება ჰქონდათ პირებს, რომელთაც გააჩნდათ ფიზიკური კავშირი ნივთთან, მაგრამ არ ჰქონდათ სურვილი განეხილათ იგი, როგორც საკუთარი საგანი ან სურვილი ჰქონოდათ გამოეყენებინათ პირადი ინტერესებისთვის.

გერმანულ სამართალში მჭერი განიხილება, როგორც მფლობელობის „მომსახურე“ პირი. მფლობელს კანონით მინიჭებული აქვს უფლება განახორციელოს მფლობელობა მფლობელობის მომსახურის მეშვეობით ისე, რომ არ ჩაერიოს ამ საქმიანობაში, კანონი გამორიცხავს ასეთ მოქმედებას, თუ სახეზე არსებობს მისი მხრიდან გამოხატული თვითნებობა.

გერმანული სამართალი მფლობელსა და მჭერს შორის ურთიერთ კავშირისას აქცენტს აკეთებს არა ეკონომიკურ და სამართლებრივ, არამედ სოციალური ნიშნით დაქვემდებარებასა და დამოკიდებულებაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ არსებობს მოსაზრება, რომ გერმანული სამოქალაქო სამართლის ძალაში შესვლის ეტაპზე, შესაძლებელი იყო დამოკიდებული მფლობელობა განგვეხილა სოციალური დამოკიდებულების სახესხვაობად. მაგალითად, როდესაც დასაქმებული უფრო ხილდება სამუშაო ადგილს და ამიტომ იძულებულია შეასრულოს დამსაქმებლის დავალებები.

თანამედროვე გერმანულ სამართალში, დღესდღეობით მფლობელსა და დამოკიდებულ პირს შორის სოციალური შინაარსის დამოკიდებულება აღარ არსებობს, აქვე უნდა ავლნიშნოთ, რომ ეს ეხება ადმინისტრაციულ და არა სოციალურ დამოკიდებულებას.

გერმანულმა სამართალმა რომის სამართლის ტრადიციებიდან გადახვევის შედეგად დააწესა სამოქალაქო სამართლისათვის უცნობი მფლობელობის სახე, ორმაგი მფლობელობის ცნება. რაც წარმოადგენს გერმანული სამართლის მთავარ დამახასიათებელ თვისებას, ანუ ერთსა და იმავე ნივთზე უშუალო და შუალობითი მფლობელობის აღიარებით. ეს სახე უცნობი და ამასთანავე წარმოუდგენელი იყო რომის სამართლისათვის.

გერმანულ სამართალში უშუალო და შუალობითი მფლობელი განიხილება, როგორც საერთო საკუთრების დროს არამედ შუალობითი ანუ არაპირდაპირი მფლობელობა არის წყარო უშუალო, ანუ პირდაპირი მფლობელობის წარმოშობისთვის. უშუალო მფლობელს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელია ასევე დაქვემდებარებულია შუალობით მფლობელთან.

გერმანულ სამოქალაქო სამართალში, უშუალო მფლობელობა წარმოადგენს საგანზე ფაქტობრივ ხელისუფლებას. იგი მოიაზრება, როგორც უშუალო მფლობელი, რომელსაც არა მარტო ხელთ უჭირავს საგანი, ასევე კანონმდებელი ნებას რთავს განახორციელოს მასზე ბატონობა შემხებლობის გარეშე, ამის მაგალითად შესაძლებელია განვიხილოთ: ავტომობილის მფლობელი, რომელი ავტომობილიც დგას ავტოსადგომზე, შუალობითი მფლობელობა წარმოიშობა სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე. ამ ურთიერთობაში უშუალო მფლობელს სურს იყოს ბატონი თავის სფეროში, მაგრამ აღიარებს მესაკუთრის უფლებას.

ისეთი სუბიექტი, რომელიც არავის უყოფს მფლობელობას, მას კანონმდებელი აღიარებს დამოუკიდებელ მფლობელად. ასეთი მფლობელი არავის უყოფს ფლობის ნებას და საკუთრად ფლობს საგანს, მესაკუთრე, უკანონო მფლობელი და სხვა. თუ პირი ნივთს დროებით მფლობელობაში გადასცემს სხვა სუბიექტს, ისეთ შემთხვევებში, როგორცაა მოიჯარე, ასეთ შემთხვევაში მესაკუთრის უშუალო მფლობელობის გარდაქმნა ხდება შუალობით მფლობელობად, ამავდროულად მოიჯარე გახდება უშუალო და დამოკიდებული მფლობელი, რომელიც

ითვალისწინებს ნივთზე მესაკუთრის არსებობას.

ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოიჯარე მესაკუთრის ნებართვით გადასცემს სხვას ნივთს ქვეიჯარით წარმოიქმნება:

- ✓ მესაკუთრის შუალობითი და დამოუკიდებელი მფლობელობა;
- ✓ მოიჯარის შუალობითი და დამოკიდებული მფლობელობა;
- ✓ ქვემო იჯარის უშუალო, დამოკიდებული მფლობელობა;

ორმაგი მფლობელობისგან კანონმდებელი განასხვავებს თანამფლობელობას და ნივთის სხვადასხვა ნაწილების მფლობელობას. ისე როგორც ორმაგი მფლობელობის დროს, ამ შემთხვევაშიც არსებობს მფლობელობის სამართლებრივი დანაწევრება. თანამფლობელობის შემთხვევაში ერთ ნივთს რამდენიმე პირი ფლობს ერთდროულად, ხოლო ორმაგი მფლობელობის დროს ერთ საგანზე არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელობა. მათ შორის სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ორმაგი მფლობელობის დროს, სახეზეა მფლობელობის ორსაფეხურიანი დაყოფა, ხოლო თანამფლობელობის შემთხვევაში თანამფლობელთა ფაქტობრივი ბატონობის მდგომარეობაა ერთსაფეხურიანი, ან პირდაპირი მფლობელები არიან თანამფლობელები, ან არაპირდაპირი მფლობელები.

თანამფლობელობის ორი სახე არსებობს: მარტივი და კვალიფიციური. მარტივი თანამფლობელობაა საერთო თანაზიარი საკუთრება, ხოლო კვალიფიციური თანამფლობელობაა წილადი საკუთრება.

მარტივი თანამფლობელობის შემთხვევაში ყველა თანამფლობელს გააჩნია სანივთო ძალაუფლება, რასაც სხვებმა ანგარიში უნდა გაუწიონ, მაგალითად, როდესაც რამდენიმე პირი ერთად შეიძენს ნივთს, მათ ერთობლივად ეკუთვნით ნივთზე საკუთრების უფლება, ანუ საზიარო უფლება აქვთ. გამომდინარე აქედან თითოეულს უფლება აქვს ისარგებლოს საზიარო საგნით; ასევე, მეუღლეთა შემთხვევაში, როდესაც მათ თანაზიარი საკუთრების დროს თანამფლობელობა საერთო საკუთრებაში არსებულ სიკეთეებზე, რითაც ისინი ერთად სარგებლობენ.

კვალიფიციური მფლობელობა წილობრივი საკუთრებაა. საერთო ქონებაში წილი შესაძლებელია არსებობდეს იდეალური წილის სახით, ეს ნიშნავს როდესაც მხოლოდ დოკუმენტალურად ან მხარეთა შეთანხმებით არის განსაზღვრული წილი საეთო საკუთრებაში, ასეთ შემთხვევაში თითოეულმა მფლობელმა არ იცის

რეალურად რამდენია მისი კუთვნილი წილი არსებულ ქონებაში, მისთვის ცნობილი გახდება მისი კუთვნილი წილი, მხოლოდ მაშინ, როდესაც განისაზღვრება წილის ოდენობა.

წილობრივი მფლობელობა წარმოიშვება ამხანაგობის ხელშეკრულების საფუძველზე. ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) მონაწილეების შესატანები, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ითვლება მონაწილეთა საერთო საკუთრებად. მათი საერთო საკუთრებაა ასევე ის, რაც შეძენილი იქნება საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე ან მიღებული იქნება ანაზღაურების სახით. როდესაც საერთო ქონება განადგურდება, წილი მიიღება შესატანების მიხედვით ან შესაძლოა თანაბრად განაწილდეს, თუ მონაწილეები შეთანხმდებიან.

3.2 მფლობელობის დაცვა გერმანულ სამართალში

გერმანულ სამართალში მფლობელობის დაცვას დიდი ხნის ისტორია გააჩნია, რასაც ადასტურებს შუა საუკუნეების გერმანული ჩვეულებითი სამართლის ძეგლები: „საქსონიის სარკე“ და „შვაბეთის სარკე.“

გერმანიის სამოქალაქო სამართალი აღიარებს ორი ტიპის მფლობელობით სარჩელს:

- ✓ სარჩელი მფლობელობის შეწყვეტის ან მომავალში შესაძლო დარღვევის თავიდან აცილების შესახებ;
- ✓ სარჩელი თვითნებობით წართმეული მფლობელობის დაბრუნების შესახებ;

კანონმდებელი ამ შემთხვევას განსაზღვრავს, როგორც თვითნებობით განხორციელებულ უკანონო ქმედებას, მათ შორის ნივთის მესაკუთრის მიერ მფლობელისთვის მისი ნების წინააღმდეგ მფლობელობის ჩამორთმევა ან

მფლობელობის ხელშემშლელი ქმედებების განხორციელებას. მაგალითად, თუ საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, კვლავ აგრძელებს ცხოვრებას და ტოვებს სახლს, ხოლო მესაკუთრე ძალით ართმევს ხელშეკრულების საგანს ან ხელს უშლის მფლობელობის განხორციელებაში, დამქირავებელს უფლება აქვს მფლობელობითი სარჩელით მიმართოს სასამართლოს. მართალია, მესაკუთრეს გააჩნია უპირატესი უფლება, მაგრამ კანონმდებელი დაუშვებლ ფაქტად განსაზღვრავს თვითნებობას. გამომდინარე აქედან დამქირავებლის მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს ისეთი შედეგის აღდგენისთვის, რომელიც იარსებებდა მფლობელობის დარღვევამდე.

იერიנגის კონცეფციამ მფლობელობის შესახებ ასახვა ჰპოვა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში და გააფართოვა მფლობელობითი დაცვის ფარგლები. რაც გამოხატულებას პოულობს და განამტკიცებს ორმაგ მფლობელობას და დაცვას ანიჭებს უფლებას, როგორც შუალობით, ისე უშუალო მფლობელს.

კანონი მფლობელობითი დაცვით სარგებლობის უფლებას ანიჭებს ხანდაზმულ მფლობელსაც, რომელსაც ჯერ არ შეუძენია საკუთრების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ არ არის მართლზომიერი მფლობელი, მისი მფლობელობა არ წარმოადგენს სამართლებრივად უგულებელყოფილ ფაქტს და შესაძლოა, ის გახდეს მესაკუთრე გარკვეული პირობების არსებობისას. ხანდაზმულობით მფლობელს შეუძლია მოითხოვოს როგორც მფლობელობის აღდგენა, ისე ხელშემშლის აღკვეთა მესამე პირთა მხრიდან, რომლებიც თავად წარმოადგენენ უტიტულო მფლობელებს.

გერმანიაში მოქმედებს აბსტრაქციისა და ტრადიციის სისტემები საკუთრების წარმოშობისთვის არ არის საკმარისი ვალდებულებითი სამართლებრივი გარიგების დადება, დამატებით საჭიროა, სანივთო გარიგება საკუთრების უფლების დათმობის შესახებ და ნივთის გადაცემა. ამასთან, სანივთო გარიგება ნამდვილია კაუზალური გარიგების ბათილობის მიუხედავად, თუმცა შემძენი მესაკუთრე ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და ყოფილ მესაკუთრეს ნივთის დაბრუნება შეუძლია არა სავინდიკაციო, არამედ კონდიქციური სარჩელის საფუძველზე.

თავი IV მფლობელობის დაცვის სამართლებრივი საშუალებები

4.1 მფლობელობის დაცვა

მფლობელობით დაცვას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა მე-19 საუკუნის კონტინენტურ ევროპულ დოქტრინაში. მფლობელობა კვლევის ფავორიტად იქცა. კვლევის პროცესში იკვლევდნენ, არა მხოლოდ ფლობელობის არსს, არამედ უფრო მეტად მისი დაცვის მექანიზმებს.

სამოქალაქო სამართალი იცავს ამა, თუ იმ სამართლის ინსტიტუტს, როდესაც შეიცნობს მის სარგებელს სამოქალაქო საზოგადოებისათვის და მართლმსაჯულებისთვის.

მფლობელობითი დაცვა სამართლებრივ სივრცეში წარმოადგენს ცოცხალ ელემენტს, ამ მიზეზით კანონმდებლობა მას თანამედროვე პირობებშიც ცვლილებების გარეშე ტოვებს. რომის სამართლიდან მოყოლებული პირის მფლობელად აღიარება დამოუკიდებელი მფლობელობითი დაცვის შესაძლებლობას წარმოადგენს.

მფლობელობის პარადოქსული თვისებაა, რომ მისი დაცვა ვრცელდება უკანონო მფლობელზეც, ამ მოვლენის ასეთი გადაჭარბებული შეფასება ძალიან ხშირად ძნელად გასაგებია იმ პირებისათვის, ვისაც იურიდიული განათლება არ გააჩნია. მფლობელობითი დაცვის იურიდიული ბუნება გულისხმობს პირადად პირის დაცვას მფლობელობის ფაქტზე დაყრდნობით, საგნის უფლების საკითხისგან დამოუკიდებლად, ანუ ამ პროცესში განიხილება მხოლოდ მფლობელობის ფაქტობრივი მხარე და არა მფლობელობის სამართლებრივი საფუძველი.

სავინი მფლობელობის დაფუძნებისას animus Dominis ანიჭებდა უპირატესობას მფლობელად მიჩნევდა ისეთ მესაკუთრესაც, რომელიც უკანონო მფლობელი იყო. პუბტაც იზიარებდა ამ აზრს, რომელიც თვლიდა, რომ მფლობელობა მხოლოდ საკუთრად ფლობის განზრახვასთან ერთად მოიაზრება და ასეთი მესაკუთრის გარდა, ქურდისა და ყაჩაღის მფლობელობაა. ამდენად, ისინი რომის სამართალში

ანალოგიით დაშვებულ, ინტერდიქტებით დაცულ არამესაკუთრეთა მართლზომიერ, ანუ წარმოებულ მფლობელობას, ნეგატიურად მიიჩნევდნენ. წარმოებული მფლობელობა ყოველთვის არ არსებობს, წარმოებული მფლობელობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც არის ნებადართული პოზიტიური სამართლის მიერ.

რომის სამართლის მიერ ინტერდიქტული დაცვის მინიჭება მჭერთა რამდენიმე კატეგორიისთვის, განპირობა მფლობელობის ინსტიტუტის ისტორიულმა განვითარებამ. განუვითარებელი ბაზრის პირობებში მჭერთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისათვის საკმარისი იყო მხოლოდ მფლობელთა ინტერესების დაცვა.

მფლობელთა წრის გაფართოება საჭიროება გამოიწვია მეწარმეობის და სავაჭრო ბრუნვის განვითარებამ. მფლობელობის დაცვის საქმეში ძლიერი გარდატეხა მოახდინა იმ პროცესებმა, როდესაც გერმანულმა სამოქალაქო კოდექსმა შემოიღო იურიდიულ სივრცეში, ორმაგი მფლობელობის ინსტიტუტი. გერმანელი იურისტი იერინგი სავინისაგან განსხვავებულად ფიქრობდა, იგი მფლობელთა სამართლებრივ დაცვაზე უარის თქმას უკავშირებდა ხელისუფლების თვითნებობას.

მე-19 საუკუნის გერმანიაში მეწარმეობის განვითარებამ აუცილებელი გახადა მწარმოებელთა უფლებების დაცვა. გლეხები, მიწის ფაქტობრივი მფლობელები, მჭერთა კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ. მათ არ ჰქონდათ არ შეეძლოთ მიწის საკუთარი შეხედულებებისამებრ განკარგვა და არც მებატონეთა, მიწის მესაკუთრეთა წინააღმდეგ დაცვის უფლება. იერინგი ავითარებდა შეხედულებას, რომ მფლობელად უნდა ჩათვალიყო ყველა ნებისმიერი პირი, ვისაც ქონდა ფაქტობრივი ბატონობა ნივთზე და მისი უფლებები დაცული უნდა ყოფილიყო პოსესორული დაცვით. იგი უსამართლობად თვლიდა მჭერთა სამართლებრივ დაცვაზე უარის თქმას და ხსნიდა ხელისუფლების თვითნებობით.

პოსესორული მოთხოვნა ემყარება ნივთზე შიშველი ბატონობის ფაქტს, რითაც ის განსხვავდება პეტიტორული მოთხოვნისგან რომელიც მხოლოდ განსაზღვრული უფლების საფუძველზე წარმოიშობა.

მფლობელობითი დაცვა საკუთრების უფლების დაცვისგან დამოუკიდებლად წარიმართება, გამომდინარე აქედან მფლობელობითი სარჩელის წარდგენისას საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა დაუშვებელია. მფლობელობით პროცესში არც ერთ მხარეს, არც პირს, რომელსაც სურს შეინარჩუნოს

მფლობელობა და არც იმ პირს ვისაც ნივთზე აქვს პრეტენზია, არ მოეთხოვება საკუთარი მოთხოვნის უფლებრივი დასაბუთება. ასეთ შემთხვევაში მტკიცებულებების შეგროვება, განხილვა და შემოწმება მიმართულია მხოლოდ მფლობელობის ფაქტის არსებობა-არარსებობის დასამტკიცებლად. შესაბამისად, სასამართლო წყვეტს ფაქტობრივი მდგომარეობის საკითხს, იღებს გადაწყვეტილებას მფლობელობის აღდგენის თაობაზე და მხარეები ვალდებული არიან აღადგინონ მფლობელობის სტატუსი.

პოსესორულ პროცესში მოსარჩელე ვალდებულია ამტკიცოს საკუთარი მფლობელობის ფაქტი მის დარღვევამდე, მფლობელობის დაკარგვა მისი ნების წინააღმდეგ და მოპასუხის მფლობელობის არსებობა სადავო ნივთზე. ხოლო მოპასუხე უთითებს მფლობელობითი სარჩელის დაკმაყოფილების ხელშემშლელ გარემოებებს.

მფლობელობითი დაცვა სრულიად დამოუკიდებლად იმართება საკუთრების უფლების დაცვისგან განსხვავებით, რაც ნიშნავს რომ მფლობელობითი სარჩელის წარდგენისას ისეთი საკითხების განხილვა, რომელიც საკუთრებასთანაა დაკავშირებული დაუშვებელია. სასამართლო პროცესზე განიხილება მფლობელობის ისეთი დავები, როგორცაა: მფლობელობის ფაქტი, როგორც მის დარღვევამდე, ასევე მფლობელობის დაკარგვა მისი ნების წინააღმდეგ და ასევე სადავო ნივთზე მოპასუხის მფლობელობის არსებობა. მფლობელობით სარჩელის დაკმაყოფილების ხელისშემშლელ გარემოებაზე მოპასუხე უთითებს, მფლობელობის დარღვევის მართლზომიერებაზე და მოასარჩელის მფლობელობის შეწყვეტის ფაქტზე მფლობელობის დარღვევამდე.

კანონმდებელი მფლობელს სადავო ნივთზე უფლების არსებობის მტკიცება არ მოეთხოვება. გამომდინარე აქედან შესაძლებელია ნებისმიერ პირის დაცვა, თუნდაც ის იყოს უკანონო მფლობელი. ამ საკითხთან დაკავშირებით სავინის და იერინგის შეხედულებები განსხვავებულია სავინის მოსაზრებით ეს არის არა წინასწარი გადაწყვეტილება და არა საბოლოო გადაწყვეტილება. იერინგის შეხედულებით ეს გადაწყვეტილება დროებითია. თუ მფლობელობით პრცესისას საგანს მიაკუთვნებენ არაუფლებამოსილ პირს, ასეთ შემთხვევაში ნივთის უფლებამოსილ პირს ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი უფლებები დაიცვას პეტიტორულ პროცესზე.

მფლობელობით პროცესში გადაწყვეტილება განმსაზღვრელია პეტიტორულ პროცესში მხარეთა მდგომარეობის. მფლობელობითი სარჩელის განხილვით უკმაყოფილო მხარე პეტიტორულ პროცესში გამოდის მოსარჩელის როლში მტკიცების ტვირთი აწევს მას, ეს არის მხარის ვალდებულება დაადგინოს გარემოებები, რომლის განხილვაც მისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, რომ მფლობელი არ არის მესაკუთრე და არ გააჩნია მას რაიმე უფლება საგანზე. ზოგადად მფლობელობით პროცესში მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია მოქმედებს მფლობელის სასარგებლოდ.

იურიდიულ დოქტრინაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს იმის თაობაზე, რომ არის თუ არა პოსესორული დაცვა პეტიტორული პროცესის წინარე მოქმედება, ანუ პროცესი. ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს რომ ეს არ არის ინტერდიქტის სამართლებრივი ბუნების შედეგი, ზოგი კი ფიქრობს, რომ პუბტას და იერინგის მოსაზრებები ემთხვევა და ინტერდიქტი არის მოსამზადებელი სამუშაო პროცესი მომავალი დაცვისათვის. პეტიტორულ პროცესში ყოფნის პრეზუმფცია პირს ათავისუფლებს ნივთის უფლების არსებობის მტკიცებისაგან.

სამოქალაქო ბრუნვის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია, რომელიც არსებობს მხოლოდ მოძრავ ნვთებზე და მათი მფლობელის სასარგებლოდ, რომელიც ქმნის ვარაუდს რომ ის მესაკუთრეა.

თანამედროვე საკანონმდებლო სივრცეში მფლობელობითი საჩელები იყოფა ორ ჯგუფად: ორდინალურ და რეკოპატორულ სარჩელად.

4.2 მფლობელობის დაცვა ქართულ სამართალში

ქართულ კერძო სამართალში მფლობელობის დაცვის პროცესი განიცდის ევროპული კერძო სამართლის გავლენას. მფლობელობის დაცვა შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მფლობელობითი, ასევე უფლების დაცვისათვის

კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოსესორული მოთხოვნები (Possesio) ემყარება მხოლოდ მფლობელობას, როგორც ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას. პეტიტორული მოთხოვნები (Petitio), რომელშიც გაერთიანებულია მოთხოვნები, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ უფლებებს (მაგ., სანივთო უფლების) საფუძველზე წარმოიშობა.

ქართულ სამართალ სივრცეში ნებისმიერი მფლობელი, მიუხედავად იმისა, კანონიერად ფლობს იგი რაიმე კონკრეტულ საგანს, თუ უკანონოდ, კანონმდებელი ანიჭებს უფლებას მის მფლობელობას, ისეთი პროცესებისგან როგორცაა: თვითნებური მიტაცება ან მფლობელობაზე სხვაგვარი ზემოქმედებისაგან მფლობელობითი (პოსესორული) დაცვის მთავარი მიზანია თვითნებობის აღკვეთა. თუ მესაკუთრე თვითნებურად ართმევს არამართლზომიერ მფლობელს საგანს, ამ უკანასკნელს შეუძლია დაიბრუნოს იგი მფლობელობითი სარჩელის წარდგინებით სასამართლოში. მესაკუთრემ კი მისი მფლობელობის აღადგენის თაობაზე უნდა მიმართოს სასამართლოს ვინდიკაციური სარჩელით.

მფლობელობითი დაცვის ინსტიტუტი თავისი მიზნიდან გამომდინარე გამორიცხავს ყოველგვარ თვითნებურ მოქმედებას, მესაკუთრის მხრიდანაც კი, იგი აიძულებს სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილეს მათ შორის წარმოქმნილი კონფლიქტი მოლაპარაკების ან სასამართლოს დახმარებით მოაგვარონ.

კანონმდებელი სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას აძლევს მხოლოდ კეთილსინდისიერ მფლობელს, მაგრამ აქვე კანონმდებელი აკეთებს გამონაკლისს. ამ წესიდან და არამართლზომიერ არაკეთილსინდისიერ მფლობელს ეძლევა შესაძლებლობა კონდიქციური სარჩელით მიმართოს უფლებამოსილ პირს, თუკი ნივთის დაბრუნების ეტაპზე მის მიერ გაწეულმა ხარჯებმა და გაუმჯობესებამ უფლებამოსილი პირის უსაფუძვლო გამდიდრება გამოიწვია.³⁶

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დაცულია არა მარტო ნივთზე უფლების მქონე პირი, არამედ მფლობელი, რომელსაც ნივთზე მისი ფლობელობის უფლების არანაირი დამადასტურებელი დოკუმენტი არ აქვს.

მფლობელობის დაცვის მოთხოვნის უფლება აქვს როგორც მესაკუთრეს, ასევე


³⁶ საქ. სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 106

ნებისმიერ სხვა პირს, რომელთა მხრიდან ადგილი აქვს მფლობელობის განხორციელების ხელშეშლას ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

კეთილსინდისიერი მფლობელისათვის ნივთის ჩამორთმევა უნდა მოხდეს კანონიერი გზით, კერძოდ, სასამართლოს ან სამართალდამცავი ორგანოს მეშვეობით. უკეთესი უფლების მქონე პირის მხრიდან ნივთის დაბრუნების პროცესში ძალის გამოყენებას კანონმდებელი კრძალავს.

ერთადერთი საფუძველი, როდესაც კანონმდებელი მხარს უჭერს ძალადობით უფლების დაცვას, არის უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევა. ყველა სხვა შემთხვევაში უფლების დაცვა უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესით. მფლობელობის დაცვა შესაძლებელია განხორციელდეს ისეთი უფლების მიმართაც, როდესაც პირმა ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით. კანონმდებელი ამ წესით გმობს ძალის გამოყენებას უფლების დაცვის მიზნით და იჭერს მფლობელის მხარეს, როდესაც უფლების მქონე პირის მიმართაც კი ანიჭებს მფლობელობითი დაცვის საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.

კეთილსინდისიერ (მართლზომიერ) მფლობელს მართლზომიერი მფლობელობის განმავლობაში უფლება აქვს გამოიყენოს, როგორც ვინდიკაციური, ასევე ნეგატორული სარჩელი როგორც მესაკუთრის, ასევე ნებისმიერი მესამე პირის წინააღმდეგ. მფლობელობის დაცვა ხდება საკუთრების უფლებისათვის დადგენილი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით: ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელებით მფლობელობის დაცვის სარჩელები ეფუძნება შემდეგ საკანონმდებლო საფუძველებს:



ნახ. #3 მართლზომიერი მფლობელობის დაცვის საშუალებები

დავის შემთხვევაში ძველ და ახალ მფლობელს შორის მფლობელობის დაცვა სპეციალური ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში შესაძლებელია. ძველ მფლობელს ახალი მფლობელის მიმართ შეუძლია დაიცვას თავისი მფლობელობა სამი წლის განმავლობაში სასამართლოს საშუალებით. მფლობელობითი დაცვის ეტაპზე პირი სამართლებრივი დაცვის ფორმას ირჩევს საგანთან მისი კავშირიდან გამომდინარე.

თუ დავა მიმდინარეობს მფლობელებს შორის, რომელთაც არ გააჩნიათ უფლება ნივთზე და მათი მოთხოვნა ეფუძნება მხოლოდ კანონიერ ინტერესს, მოქმედებს მფლობელობის დაცვის მიმართ კანონმდებლის მიერ დაწესებული წესები. მაგალითად, თუ დავა მიმდინარეობს ორ პირს შორის, რომლებიც შემძენები არიან და არ წარმოშობიან შეძენის ეტაპზე ნივთზე საკუთრების უფლება, მფლობელობის დაცვა ხორციელდება მფლობელობის დაცვის მიმართ მოქმედი წესებით.

განსხვავებულად აწესრიგებს კანონი ძველ და ახალ მფლობელს შორის მფლობელობის დაცვის ხანდაზმულობის ვადას, თუ ახალ მფლობელს აქვს უფლება ნივთზე, მფლობელობის დაცვის სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს, თუკი ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება (სსკ-ის 160). მფლობელობასთან შედარებით უკეთეს უფლებაში იგულისხმება, როგორც

საკუთრების, ასევე სხვა სანივთო ან ვალდებულებითი უფლება, რომელიც პირს ნებისმიერი მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას ანიჭებს. ამ შემთხვევაში ძველი მფლობელის მიერ ახალი მფლობელის მიმართ მოთხოვნის წარდგენაზე ვრცელდება უფლების დაცვის მიმართ კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.

4.3 სავინდიკაციო, დელიქტური და კონდიქციური სარჩელი

კეთილსინდისიერი მფლობელისგან მესაკუთრეს შეუძლია ნივთის დაბრუნება, თუ საგანი გავიდა მისი მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ, მიუხედავად შემქნის ხასიათისა, ხოლო თუ ნივთი მფლობელის ნებით გავიდა მისი ფლობიდან, იმ შემთხვევაში, თუ მისი ნივთის შემქნა მოხდა უსასყიდლოდ მას შეუძლია იმედი ჰქონდეს მხოლოდ კონპენსაციაზე, რომელიც გამოხატული იქნება თანხის სახით.

შუა საუკუნეების გერმანულ სამართალში დამკვიდრდა ვინდიკაციის შეზღუდვის წესი, რომლის თანახმად, ნივთის კეთილსინდისიერი შემქნეი ხდება იმ ნივთის მესაკუთრე, რომელიც მესაკუთრის მფლობელობიდან გავიდა მისი ნებით და სასყიდლით გასხვისდა არაუფლებამოსილი პირის მიერ. ამ შემთხვევაში საკითხი წყდება იმ პირის სასარგებლოდ, რომელსაც აქვს ნაკლები შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი ინტერესები, თუ საკითხი ნივთის ჩამორთმევის თაობაზე გადაწყდება მის წინააღმდეგ.

საქართველოს სკ-ის დებულება: შემქნეი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემქნეი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია (187-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება) პირდაპირ კავშირშია კოდექსისეულ ნორმასთან, რომელიც მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას

განამტკიცებს (158-ე მუხლის I ნაწილი). მოძრავი ნივთების შემძენის მხრიდან გამსხვისებლის მხარეზე საკუთრების ტიტულის არსებობისადმი მინდობილ დამოკიდებულებას სწორედ, ეს პრეზუმფცია აფუძნებს. შემძენს, თუ არა კონტრაქტის კეთილსინდისიერებისადმი ნდობა, სხვა სამართლებრივი გზა მისი მესაკუთრეობის შემოწმებისა არ გააჩნია.

ბრუნვის მონაწილეთა ასეთი ურთიერთდამოკიდებულება ხელს უწყობს ბრუნვის სიმყარესა და სიმარტივეს. სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით (28.12.2011) 187-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება ასე ჩამოყალიბდა: კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. ეს დანაწესი პირდაპირ არ მიუთითებს კეთილსინდისიერი შემძენის მიერ საკუთრების უფლების მოპოვების პირობებზე, თუმცა აღნიშნული განსაზღვრულია ცივილისტურ დოქტრინაში, კერძოდ მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით ნივთის გამოსვლა, ნივთის შემძენა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ, სასყიდლით შემძენა. აღნიშნული მუხლის II ნაწილის ფორმულირების მიღმა ლოგიკურად, სწორედ ეს გარემოებები მოიაზრება.

ვინდიკაციის შეზღუდვის წესი მოქმედებს ასევე კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და საჯარო ვაჭრობის წესით შემძენილი ნივთების მიმართ, მიუხედავად მათი მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ გამოსვლისა ან შემძენის უსასყიდლო ხასიათისა.

იმ ქვეყნებში, სადაც უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება შესაბამისი სახელმწიფო რეგისტრაციით წარმოიშობა, კეთილსინდისიერი შემძენის დაცვის ფუნქციას რეგისტრაციის მონაცემები ასრულებენ, რომლითაც ფიქსირდება გამსხვისებელი, როგორც მესაკუთრე. საქართველოს სკ იცავს უძრავი ნივთის კეთილსინდისიერ შემძენს, რომელიც ეყრდნობა საჯარო რეესტრის მონაცემებს.

მესაკუთრის მიერ ნივთზე მფლობელობის დაკარგვისას, მისი კანონით დაცული ინტერესების დაცვა შესაძლოა, როგორც სანივთო (სავინდიკაციო), ისე ვალდებულებითი – სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო (დელიქტური, კონდიქციური) სარჩელებით. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს მოთხოვნის საფუძველთა

კონკურენციას, რადგან განსაზღვრული სამართლებრივი მიზნის მიღწევა შესაძლოა, ერთდროულად სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით.

სავინდიკაციო სარჩელის წარდგენის ერთ-ერთი პირობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არარსებობაა. სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობისას, როდესაც ნივთის უკანონო მფლობელად იქცევა სახელშეკრულებო პარტნიორი, როგორც ნივთის გამოთხოვა, ისე ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს სახელშეკრულებო სარჩელის საფუძველზე.

ვინდიკაციაზე უფლება მართლზომიერ მფლობელს მანამ აქვს, ვიდრე ნივთი არსებობს და არ განადგურებულია. ნივთის განადგურებისას სარჩელის საფუძველი იცვლება და სავინდიკაციო სარჩელი გარდაიქმნება დელიქტურ სარჩელად.

კონდიქციური სარჩელით ხდება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მიღებულის (შემძენილი ან დაზოგილი) უკან დაბრუნება.

სავინდიკაციო სარჩელის საგანია ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთი, ხოლო კონდიქციური სარჩელის გვაროვნული ნივთებით განსაზღვრული და ასევე ქონებრივი უფლებები.

მესაკუთრის მფლობელობიდან ნებით გასული ნივთის სასყიდლით გასხვისებისას, კონდიქცია მიმართულია განმკარგველის მიმართ, რადგან კეთილსინდისიერი შემძენი დაცულია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. უსასყიდლო განკარგვისას კონდიქციური სარჩელი მიმართულია მიმღების მიმართ, უსასყიდლოდ მიღებული ქონებრივი სიკეთე ნაკლებად არის დაცული.

ბათილი გარიგება უსაფუძვლო გამდიდრების კერძო შემთხვევაა. გარიგების ბათილობისას სავინდიკაციო და კონდიქციურ სარჩელთა კონკურენციის საკითხი განსხვავებულად წყდება კაუზალურ და ვინდიცირების წესი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოხდა მესაკუთრის ხელიდან საკუთრების ობიექტი გასვლა, კანონმდებლის განმარტების საფუძველზე, როდესაც მესაკუთრის ნების გარეშე გამოდის ქონება კონკრეტული მესაკუთრისგან, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩნდეს ეს საგანი, მისგან კონკრეტული საგნის გამოთხოვა გარდაუვალ პროცესს წარმოადგენს, ხოლო როდესაც მესაკუთრეს კონკრეტული საგანი ტოვებს მისი ნებით, მაგალითად ისეთ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი საგანს გადასცემს საყიდლად

კეთილსინდისიერ მფლობელს, მაშინ კონფლიქტი კეთილსინდისიერი შემძენის სასარგებლოდ გადაწყდება. მესაკუთრეს კანონმდებელი ანიჭებს მხოლოდ ფულადი კონპენსაციის მოთხოვნის უფლებას. იმ შემთხვევაში, თუ დამქირავებელი ნივთს გადასცემს უსასყიდლოდ პირს, მაშინ მესაკუთრეს აქვს უფლება ნივთი უკან გამოითხოვოს.

სავინდიკაციო სარჩელი სანივთო სამართლებრივი სარჩელია და მისი ბუნება არ იცვლება მაშინაც, როცა ის მიმართულია განსაზღვრული პირის, უკანონო მფლობელის მიმართ, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ამ დროს ვინდიკაციის აბსოლუტური ხასიათი იცვლება.

სავინდიკაციო სარჩელი მფლობელობა დაკარგული მესაკუთრის სარჩელია უკანონო მფლობელის მიმართ ნივთის გამოთხოვის შესახებ. მისი წარდგენის ერთ-ერთი პირობა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ვალდებულებითი ურთიერთობის არარსებობის, რომლის საფუძველზე ნივთი შეიძლება დაუბრუნდეს მოსარჩელეს, როგორც კრედიტორს ვალდებულებით ურთიერთობაში.

კანონმდებელთა ერთი ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევს სახელშეკრულებო და სანივთო სარჩელთა კონკურენციას და მიუთითებს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობისას, მოსარჩელე უნდა დაეყრდნოს მხოლოდ სახელშეკრულებო მოთხოვნას, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულების დროს გამქირავებლის მიერ ნივთის დროებით სარგებლობაში გადაცემისას დამქირავებლისთვის, ამ უკანასკნელის მიერ ნივთის დაბრუნების ვალდებულების შეუსრულებლობისას, გამქირავებელი ნივთს დაიბრუნებს არა სავინდიკაციო სარჩელით, არამედ დაეყრდნობა მხოლოდ ქირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ნივთის გადაცემისა და დაბრუნების პირობებს.³⁷

მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის მფლობელობა უკანონოა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას და მესაკუთრეს შორის შეწყდა ვალდებულებითი ურთიერთობა სადავო ნივთის თაობაზე. რადგან საკუთრების უფლება დაირღვა ვალდებულებითი ურთიერთობის სფეროში, მისი დაცვაც უნდა განხორციელდეს ამ ურთიერთობისთვის კანონით გათვალისწინებული საშუალებებით. ამგვარად,

³⁷ ზოიძე ბ, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ.101

როდესაც ნივთის უკანონო მფლობელად იქცევა სახელშეკრულებო პარტნიორი, როგორც ნივთის გამოთხოვა, ისე ზიანის ანაზღაურება უნდა მოხდეს სახელშეკრულებო სარჩელის საფუძველზე, რადგან ხელშეკრულების მხარე სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტისას ვალდებული იყო ნივთი დაებრუნებინა მესაკუთრისთვის. სხვა მოსაზრებით, დასაშვებია კონკურენცია, ე.ი. თუ ნივთი იმყოფება, მაგალითად, მოიჯარესთან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მესაკუთრეს მისგან ნივთის გამოთხოვა შეუძლია როგორც სავინდიკაციო, ისე სახელშეკრულებო სარჩელის საფუძველზე.

სავინდიკაციო და დელიქტური სარჩელი ვინდიკაციაზე უფლება მართლზომიერ მფლობელს მანამ აქვს, ვიდრე ნივთი არსებობს და არ განადგურებულა. სამართალდამრღვევის მიერ ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ნივთის მითვისებისა და მისი ნატურით შენარჩუნებისას გამოიყენება სავინდიკაციო სარჩელი. ხოლო თუ უკანონო მფლობელობაში არსებული ნივთი განადგურდება, სარჩელის საფუძველი შეიცვლება და სავინდიკაციო სარჩელი გარდაიქმნება დელიქტურ სარჩელად, რომელიც დელიქტური ვალდებულებიდან წარმოდგება.

დელიქტური ვალდებულება სამართლის დარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაა.³⁸ დელიქტური სარჩელი მიმართულია არასახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურებისკენ. ასეთია ის ზიანი, რომელიც მიყენებულია ისეთი დარღვევის შედეგად, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობაში.³⁹ პირი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით არღვევს მოქმედებისგან თავის შეკავების ვალდებულებას, რითაც ზიანს აყენებს დაზარალებულის აბსოლუტურ უფლებას.

დელიქტური სარჩელის მიზანია დაზარალებულის იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იქნებოდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

³⁸ ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. `მართლმსაჯულება~, #1, 2008, 49.

³⁹ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წ.IV, ტ.II, რედ.ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001, 379

ვინდიკაციისგან განსხვავებით, რომლის საგანია მხოლოდ ნატურით არსებული ნივთი, დელიქტური სარჩელით შესაძლოა, ზიანის ანაზღაურება როგორც ნატურით, ისე ფულადი სახით, როცა ნატურით რესტიტუცია შეუძლებელია.

სავინდიკაციო სარჩელით დაზიანებული ნივთის გამოთხოვისას, როდესაც ხდება ზიანის ანაზღაურება, სახეზეა არა ორი სარჩელი: სავინდიკაციო და დელიქტური, არამედ ზიანის ანაზღაურება ამ შემთხვევაში სავინდიკაციო სარჩელის თანმდევი ვალდებულებაა.⁴⁰

რომაული სამართლის მსგავსად, გერმანული სამოქალაქო სამართალი უშვებს კონკურენციას სავინდიკაციო და დელიქტურ სარჩელებს შორის, როდესაც უკანონო მფლობელობა მოპოვებულია დელიქტის (ქურდობის) გზით. ქურდს შესაძლოა წარედგინოს ორივე სარჩელი.⁴¹

⁴⁰ ზოიძე ბ, ქართული სანივტო სამართალი, თბ., 2003, გვ.102

⁴¹ ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ. `მართლმსაჯულება~, #1, 2008 გვ. 93

დასკვნა

მფლობელობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობაა, მფლობელობაში ფაქტისა და უფლების კავშირის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია, რომელსაც დიდი ხნის ისტორია გააჩნია.

მფლობელობა დაკავშირებულია რომის სამართალთან და დღემდე არ კარგავს აქტუალობას. რომის სამართლის მფლობელად განიხილავდა მესაკუთრეს და არამართლზომიერ მფლობელს, ხოლო სხვა სანივთო ან ვალდებულებითი უფლების მქონე პირს რომის სამართალი არ მიიჩნევდა მფლობელად.

მოგვიანებით საჭიროებიდან გამომდინარე რომის სამართალმა რამდენიმე სხვა ვალდებულებით სუბიექტს მიანიჭა მფლობელის სტატუსი, რაც განპირობებული იყო სამოქალაქო ბრუნვის მოთხოვნებიდან გამომდინარე და აგრეთვე ითვალისწინებდა მათი ინტერესების დაცვას. მფლობელთა წრის გაფართოება მოითხოვა მეწარმეობის და სავაჭრო ბრუნვის განვითარებამ.

რომის სამართალი განამტკიცებდა შეუზღუდავი ვინდიკაციის პრინციპს, რაც ნიშნავდა, რომ მესაკუთრეს შეეძლო დაებრუნებინა საკუთარი ნივთი ნებისმიერ დროს ნებისმიერი არამართლზომიერი მფლობელისაგან.

საბჭოთა სამართალმა გადაუხვია მფლობელობის კლასიკურ მოდელს და ამ სისტემამ მოახდინა მფლობელობის უკან არსებული სანივთო უფლებათა იგნორირება. საზოგადოებაში, სადაც არ არსებობდა კერძო სამართალი, საბჭოთა სამართალი მის ხელთ არსებული ინსტიტუტებისა და სახელმწიფო ღირებულებების

საფუძველზე დაადგინა, რომ მლობელობას უნდა ეტვირთა საკუთრების ფუნქცია. ასეთი დამახინჯებული ფორმულირებით ცდილობდა სამართლის ცნებებში ასახული ყოფილიყო ხელისუფლების ნება.

კონტინენტური ევროპის სამოქალაქო სამართალში მფლობელობა ნივთზე ფაქტობრივი თვისების მქონე ძალაუფლებაა, რომელიც ორი ელემენტისაგან შედგება მატერიალური და ნებითი ელემენტებისაგან.

მფლობელობის ობიექტური ელემენტი, ფაქტობრივი შესაძლებლობაა ნივთზე უშუალო ბატონობისა, ხოლო სუბიექტური ელემენტი მფლობელობითი ნების, საკუთრად ფლობის განზრახვას მოიცავს,

კონტინენტური ევროპის სამართალში მფლობელობის დაფუძნება განხორციელებულია ორი ძირითადი თეორიით: სუბიექტური და ობიექტური თეორიებით. პირველი, მფლობელობის წარმოშობისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ანიმუს დომინი-ს, რომელშიც მის რომაულ შინაარსს ასახავს, ამ თეორიით მფლობელთა წრე ერთობ ვიწროვდება, მასზე აგებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი. მეორე თეორია მფლობელობაში კონსტიტუტიურ ფაქტობრივ ბატონობას გულისხმობს, თუმცა არსობრივად, არც ნებითი ელემენტია უარყოფილი, რაც განაპირობებს, ვინც ფაქტობრივად ფლობს, მოიაზრება, რომ აქვს განზრახვა ფლობდეს.

აღნიშნული თეორია გაიზიარა გერმანიის სამოქალაქო კოდექსმა, გერმანელმა კანონმდებლებმა მფლობელობის დაფუძნებისა და დაცვის საქმეში ძლიერი გარდატეხა მოახდინეს, როდესაც გერმანულმა სამქალაქო კოდექსმა შემოიღო სამართლებრივ სივრცეში, ორმაგი მფლობელობის ინსტიტუტი. რამაც განამტკიცა ორმაგი მფლობელობა.

ორმაგი მფლობელობისაგან განსხვავდება თანამფლობელობა. რომლის დროსაც სახეზეა მფლობელობის სამართლებრივი დაცალკევება. ორმაგი მფლობელობის დროს, მფლობელობის ორსაფეხურიანი დაყოფა არსებობს, ხოლო თანამფლობელობისას თანამფლობელთა ფაქტობრივი ბატონობის მდგომარეობა ერთსაფეხურიანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მფლობელობის დაფუძნებისთვის საჭიროა ორივე ელემენტის არსებობა, ამასთან სუბიექტური

ელემენტის არსი საკუთარ თავში აერთიანებს, არა მხოლოდ მესაკუთრედ ფლობის სურვილს, არამედ საკუთარი ინტერესებისთვის ფლობას, რის შედეგადაც ფართოვდება მფლობელთა წრე.

თანამედროვე პოზიტიური სამართალი უპირატესობას ანიჭებს არა კლასიკურ ტრიადას, არამედ განსაზღვრებას ორ ნიშანს, როგორცაა: სარგებლობა და განკარგვა, ან ერთ ელემენტს განკარგვას მიუთითებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგული დარჩა რომის სამართლის მიუხედავად იმისა, რომ მფლობელობა დამოუკიდებელ ინსტიტუტად აღიარა და ქონებად სხეულებრივ ნივთებთან ერთად უსხეულო ნივთებიც მიიჩნია.

აღსანიშნავია, რომ შემენითი ხანდაზმულობის ისეთმა პირობამ, როგორცაა კეთილსინდისიერება, გარკვეული ცვლილება განიცადა სხვადასხვა სამართლებრივ სივრცეში.. თანამედროვე სამოქალაქო სამართალმა განამტკიცა შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის დანაწესი, რომლის თანახმად, შემდგომში წარმოშობილი არაკეთილსინდისიერება აჩერებს მფლობელობითი ხანდაზმულობის დენას, რაც განსაზღვრა შემდეგნაირად, რომ კეთილსინდისიერება მოითხოვება არა მხოლოდ მფლობელობის მოპოვების მომენტში, არამედ მფლობელობის მთელ მანძილზე.

მფლობელობითი დაცვა გულისხმობს პირის დაცვას საკუთრივ, მფლობელობის ფაქტზე დაყრდნობით, ნივთზე უფლების საკითხისგან დამოუკიდებლად. მფლობელობითი დაცვის დანიშნულებაა, მოთხოვნის არსებობა წართმეული მფლობელობის აღდგენის ან მფლობელობის განხორციელებაში ხელშემშლელი გარემოებების აღკვეთის შინაარსით.

მფლობელობითი პროცესის თავისებურებაა ის, რომ არ მოითხოვება სადავო ნივთზე უფლების არსებობის მტკიცება, შესაძლებელს ხდის ნებისმიერი, მათ შორის უკანონო მფლობელის დაცვასაც. აქ მიღებული გადაწყვეტილება დროებითი ხასიათისაა, და გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მხარეს შესაძლებლობა აქვს საკუთარი უფლებები დაიცვას პეტიტორულ პროცესში.

მფლობელობითი დაცვა წარმოადგენს სამართლებრივი წესრიგის ცოცხალ ელემენტს, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ კანონმდებელი ამ პროცესს თანამედროვეობაშიც ტოვებს ძალაში ხელუხლებლად.

მფლობელობის დაცვას ახასიათებს პარადოქსული შედეგი, დაცვა ვრცელდება

უკანონო მფლობელზე. რაც ძალიან ძნელი გასაგებია ისეთი ადამიანებისათვის, ვისაც არ გააჩნია იურიდიული განათლება. მფლობელობის ინსტიტუტი, ისევე როგორც მთელი სანივთო სამართალი, თანამედროვე ქართულ სამართალში ძირითადად გერმანული სამართლის გავლენას განიცდის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზარანდია თ, სანივთო სამართლის საფუძვლები, „საქართველოს მაცნე“, თბ., 2016
2. ზოიძე ბ, სანივთო სამართლის საფუძვლები, თბ., 2003
3. ზოიძე ბ, საკუთრების უფლების წარმოშობის წარმოშობის საფუძვლები ძველ ქართულ სამართალში, თბ., 2003
4. თოთლაძე ლ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., 2018
5. იან კროპკოლერი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2014
6. თამარ შოთაძე სანივთო სამართალი
7. ლაკერზაია თ, სანივთო სამართლის გავლენა ვალდებულებით სასამართლოზე, თბ., 2012
8. ნადარეიშვილი გ, რომის სამოქალაქო სამართალი, თბ., 2003
9. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №ას-524-493, თბ., 2012
10. ქოჩაშვილი ქ, მფლობელობა და საკუთრება, ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თბ., 2013
11. ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი, ჟურნ., მართლმსაჯულება, #1, 2008
12. ჭეჭალაშვილი ზ, სანივთო სამართალი, თბ., 2006

13. ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,წ.IV, ტ.II, რედ.ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., თბ., 2001
14. Васильев Е.А., Комаров А.С., Гражданское и торговое право зарубежных государств, Т.2, М., 2006
15. Bassenge, Palandt, BGB, 2008, p.854
16. Fundamentals of property law: possession, title and relativity by Luke David Rostill Wadham College , 2016,
17. Acquisition by Adverse Possession
18. JAMES GORDLEY AND UGO MATTEY Protecting Possession
19. PROPERTY Volume One Christian Turner , 2012,
20. ADVERSE POSSESSION September 2006
21. Владение и Владельческая защита в гражданском праве государств континентальной европы